[7] საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის N1/1/503, 513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-13

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/16/1480 განჩინება საქმეზე ბონდო თედორაძე, ანზორ გუბაევი და ხათუნა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-8

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 4 აპრილის N1/2/534 საოქმო ჩანაწერი საქმეზე ტრისტან მამაგულაშვილი და ფირუზ ვანიევი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-9

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის N2/3/562 განჩინება ლევან სიგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-5

რაც შეეხება გაერთიანების თავისუფლებას, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტთან სადავოა კანონის ის დებულებები, რომლებიც ადგენს კონკრეტულ ვალდებულებებს და აწესებს პასუხისმგებლობას, ანუ გააჩნია შემზღუდველი შინაარსი.

2. გასაჩივრებული კანონის მიღების პროცესი, კონტექსტი და მისი რეალური მიზანი

2.1. გასაჩივრებული კანონის საპარლამენტო განხილვები

წინამდებარე სარჩელში გასაჩივრებული კანონის იდეა ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჯერ კიდევ 2023 წლის მარტში გამოჩნდა. 2023 წლის მარტში „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა კანონპროექტი „უცხოელი აგენტების შესახებ“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციებისთვის გასაჩივრებული კანონპროექტის იდენტურ ვალდებულებებს ითვალისწინებდა. „ქართულმა ოცნებამ“ კანონპროექტი მასობრივი პროტესტის ფონზე უკან გაიწვია, თუმცა აღნიშნული კანონის ინიციირების საკითხი მოხვდა ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის გაფართოების ანგარიშში და შეფასდა როგორც ასოცირების პროცესის დამაზიანებელ ნაბიჯად.[11] 2023 წლის 9 მარტს ქართული ოცნების წარმომადგენლებმა გაიწვიეს „უცხოელი აგენტების შესახებ კანონპროექტი და საზოგადოების წინაშე დადეს პირობა, რომ კანონპროექტს ხელახლა აღარ დააინიცირებდნენ[12].

2023 წელს დაინიცირებული „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროტესტის, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მოწოდებების მიუხედავად არ მიეღოთ მსგავსი კანონი საქართველოში, ხელისუფლებამ 2024 წლის 3 აპრილს აღნიშნული კანონის იდეა ხელახლა დააბრუნა ქართულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში „უცხოური გავლენის გამჭირვალეობის შესახებ“ კანონპროექტის დაინიცირებით. მსგავსად 2023 წლისა, აღნიშნული კანონპროექტის ხელახლა ინიციირებას მოჰყვა მასშტაბური საპროტესტო აქციები როგორც მოსახლეობის, ასევე ოპოზიციური პარტიების მხრიდან, რაც გამოიხატებოდა კანონპროექტის განხილვის პროცესში თითქმის ყოველდღიური ფართომასშტაბიანი აქციებში და გრძელდება დღესაც - კანონის მიღების შემდგომ.

რაც შეეხება კანონპროექტის განხილვისა და მიღების პროცესს, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კანონის ინიციატორებმა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა სრულიად უგულებელყვეს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი კანონის მიღების პროცედურა, დაარღვიეს დემოკრატიის ისეთი ძირითადი ღირებულებები, როგორიცაა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, პროცესის ინკლუზიურობა, ნდობის პრინციპი და სხვა.

---

[11] European Commission, 2023 Communication on EU Enlargement policy Georgia 2023 Report, ხელმისაწვდომია: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en

[12] რადიო თავისუფლება, ქართულმა ოცნებამ" გადაწყვიტა გაიწვიოს მასობრივი პროტესტის გამომწვევი კანონპროექტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32309708.html

როგორც აღინიშნა, კანონპროექტი პარლამენტში 2024 წლის 3 აპრილს დარეგისტრირდა. 2024 წლის 17 აპრილს კანონი პირველი მოსმენით მიიღეს. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღების პროცესი პროცედურული დარღვევების თანხლებით მიმდინარეობდა. მაგალითად, პირველ მოსმენაზე არაერთი ოპოზიციონერი დეპუტატი გააძევეს მათ მიერ გამოხატული პოზიციის გამო.[13] ასევე, პარლამენტის შენობაში არ შეუშვეს ონლაინმედიის წარმომადგენლები.[14]

2024 წლის 29 აპრილის საკომიტეტო მოსმენაზე, დამსწრეთა ნაწილს არ მისცეს კითხვების სრულად დასმის შესაძლებლობა. ამასთან, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ გამოსვლების დროს ოპოზიციონერ დეპუტატებს მიკროფონები გაუთიშა. საბოლოოდ კი კომიტეტის სხდომიდან 14 დეპუტატი და არასამთავრობო ორგანიზაციის სამი წარმომადგენელი გააძევეს კანონპროექტთან დაკავშირებული კრიტიკული პოზიციის დაფიქსირების საფუძველზე.[15]

განსაკუთრებით ხაზგასასმელია 2024 წლის 13 მაისს გამართული მესამე საკომიტეტო მოსმენა, რა დროსაც ხელისუფლების წარმომადგენლებმა საკომიტეტო განხილვა ოპოზიციონერი დეპუტატების გარეშე დაიწყეს და კანონპროექტი 67 წამში, ყოველგვარი დისკუსიის გარეშე, მიიღეს.[16] მომდევნო დღეს კანონი პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით მიიღეს.[17] მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ კანონპროექტის ინიციატორი ხელისუფლების წარმომადგენლები როგორც საზოგადოებას, ასევე საკომიტეტო მოსმენის მონაწილე ოპოზიციონერ დეპუტატებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს არწმუნებდნენ, რომ კანონი არ ეხებოდა და არც შეეხებოდა ფიზიკურ პირებს. ამის საწინააღმდეგოდ, კანონმა მეორე და მესამე მოსმენებს შორის ცვლილება განიცადა და დაწესდა ნებისმიერი, მათ შორის ფიზიკური პირების მიმართ ვალდებულება იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ინფორმაციის გადაცემის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტი ითვალისწინებდა აღნიშნული პირების დაჯარიმებას 5000 ლარით[18].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კანონის მიღების პროცედურულ და დემოკრატიული პრინციპების დარღვევაზე მიუთითებს ვენეციის კომისიის 2024 წლის 21 მაისის სამართლებრივი დასკვნაც[19]. კერძოდ, ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით: „კომისია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ აღნიშნული სენსიტიური კანონის განხილვა მოხდა დაჩქარებული (კანონპროექტის მოსმენები მცირე დროითი ინტერვალით წარიმართა) და მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განხილვის პროცედურის გარეშე. ყოველივე

[13] რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32925241.html

[14] რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.instagram.com/reel/C5yHWFiM0ic/?igsh=eTNvcjY1Z3hpaTYz

[15] რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32925241.html

[16] https://www.radiotavisupleba.ge/a/32943858.html

[17] პარლამენტმა „აგენტების კანონი“ მესამე, საბოლოო მოსმენით, მიიღო, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32946944.html

[18] https://www.radiotavisupleba.ge/a/32951548.html

[19] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW, URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARANCY OF FOREIGN INFLUENCE, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e

ეს მით უფრო სამწუხაროა, რადგან 2023 წლის მსგავს კანონპროექტზე გამოხმაურებამ აჩვენა პოლარიზაცია მის მიღებასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არსებობდა მნიშვნელოვანი კონსულტაციების გავლის განსაკუთრებული აუცილებლობა ამ კანონის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მხარეებთან, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ონლაინ მედიასაშუალებებსა და მაუწყებლებთან.[20]

საბოლოოდ, აღნიშნული საკანონმდებლო პროცესის დროს ოპოზიციონერ დეპუტატებს არ მოგვეცა შესაძლებლობა, სრულყოფილად გვესარგებლა ჩვენი უფლებით და მოგვეხდინა როგორც მთლიანი საზოგადოების, ასევე ჩვენი ამომრჩევლისთვის იმის ახსნა, თუ რატომ არ უნდა მიეღო ხელისუფლებას აღნიშნული კანონი და რატომ მოდის იგი წინააღმდეგობაში როგორც ადამიანის უფლებებთან, ასევე კონსტიტუციის 78-ე მუხლთან.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ კანონის ხელახალი ინიცირებით და კანონის უკუძალით - 2023 წელს უცხოური წყაროდან მიღებული 20%-ზე მეტი შემოსავლის დეკლარირების ვალდებულების დადგენით - დაარღვია სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი გარანტია - მოქმედი კანონმდებლობის მიმართ ნდობის პრინციპი. სამართლებრივი უსაფრთხოების ცენტრალური ელემენტია სახელმწიფო აქტების მდგრადობა და მასთან დაკავშირებული ნდობის დაცვა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის ან სამართლებრივი პოზიციისადმი.[21] სამართალმა სტაბილურობა უნდა დაამყაროს და გააძლიეროს. ეს სახეზეა, როდესაც სამართლის ადრესატებს შეუძლიათ თავისი სამართლებრივი მდგომარეობის განჭვრეტა და მისდამი ნდობა.[22] მოქალაქის ნდობის გაცრუება იწვევს მის გაუცხოებასა და ზოგჯერ დაპირისპირებასაც კი სახელმწიფოსა და სამართლისადმი. ამგვარად, კანონის ხელახლა დაინიცირებით, მისი 2023 წელზე გავრცელებით, დაირღვა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელი ელემენტი - მოქმედი სამართლის მიმართ ნდობის პრინციპიც.

2.2. კანონის მიღების კონტექსტი და რეალური მიზანი

იმ პირობებში, როდესაც 2024 წელს არის საპარლამენტო არჩევნები, პარალელურად საქართველო გადის ევროკავშირთან ასოცირების უმნიშვნელოვანეს პროცესს, მნიშვნელოვანია, დავსვათ კითხვა: თუ რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ გასაჩივრებული კანონის ხალახლა მიღება, რითაც კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადოებაში არსებული პოლარიზაცია და საქართველოს პარტნიორი ორგანიზაციების თუ სახელმწიფოების მხრიდან კრიტიკული შეფასებები დაიმსახურა.

ხელისუფლების პოზიციით კანონის მიღების რეალური მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭირვალეობის უზრუნველყოფაა. თუმცა, ერთია, განმარტებით ბარათში მითითებული კანონის

[20] Supra 13, პარაგრაფი 47.

[21] *Mager:* Staatsrecht I, S. 356; Robbers, in: Bonner Kommentar, Art. 20, Rn. 2540; Sachs, in: Sachs, GG, Art. 20, Rn. 131; Sobota: Das Prinzip Rechtsstaat, S. 154 ff., 506 ff; Stern: Staatsrecht I, S. 831.

[22] Benda: Der soziale Rechtsstaat, S. 719 (741).

მიღების ლეგიტიმური მიზანი, ხოლო მეორეა, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საჯარო გამოსვლებში კანონთან დაკავშირებული რეალური მიზნები. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემაში კი დაგვეხმარება ხელისუფლებისა და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებები, ასევე ჩვენი ქვეყნის პარტნიორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ლიდერების შეფასებები გასაჩივრებულ კანონთან დაკავშირებით.

2024 წლის 3 აპრილს საქართველოს პრემიერ მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომლიდანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ციტატა: *„დარწმუნებული ვარ, ახალი კანონი დონორებს ეფექტურად დააზღვევს მთელი რიგი უხერხულობებისგან, რაც მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი მედიასაშუალებების მხრიდან საქართველოში რადიკალიზმისა და პოლარიზაციის გაღვივებასთან, რევოლუციური პროცესების მხარდაჭერასთან, საარჩევნო ხმების პარალელური დათვლის გაყალბებასთან, ომის პროპაგანდასთან, ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებასთან, საქართველოს ეროვნული და რელიგიური იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან და დეზინფორმაციის ხარჯზე სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტების მცდელობასთან არის დაკავშირებული. ზემოაღნიშნული ქმედებების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ სოციოლოგიური კვლევების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციები სარგებლობენ ყველაზე მცირე ნდობით სახელმწიფო და სოციალურ ინსტიტუტებს შორის საქართველოში. მხედველობაშია მისაღები, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი მედიასაშუალებების ზემოაღნიშნული ქმედებები მათი დონორების რეპუტაციაზეც უარყოფითად აისახება. მჯერა, რომ კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ამ მანკიერების დაძლევაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს”*[23]. პრემიერ მინისტრის აღნიშნული განცხადებიდან ნათლად იკვეთება, რომ იგი არასამთავრობო ორგანიზაციებს ბრალად სდებს რევოლუციური პროცესების წარმართვაში, ხოლო გასაჩივრებული კანონის მოქმედებით იმედს გამოთქვამს, რომ დონორები შეწყვეტენ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას.

საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადებასთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია 2024 წლის 29 აპრილს „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვნილის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ ორგანიზებულ „საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე“[24]: *“ლგბტ-პროპაგანდისა და „ენჯეოების“ შესახებ კანონების ინიციირებას ორმაგი სარგებელი ჰქონდა: ერთი მხრივ, ამ ორი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას ალტერნატივა არა აქვს და მეორე მხრივ, დასაგროვებელი ენერგიის ნაადრევი ხარჯვა ისედაც დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის. შესაბამისად, კანონპროექტების ინიციირებისთვის დროც იდეალურად არის შერჩეული. ამ პროცესებით ქვეყანას და ხელისუფლებას არაფერი დაგვაკლდება, გარდა იმისა, რომ გლობალურ ომის პარტიას კიდევ ერთხელ გავანაწყენებთ, რომელსაც მეორე ფრონტის არგახსნის გამო ჩვენს მიმართ წყენა ისედაც არ აკლია”.*

---

[23] https://www.facebook.com/GeorgianGovernment/posts/pfbid0mC1A9JG58ecoPh1SRvu7fuv4a2rdHy3qV4ij4YLxxpFrz2gikm3ft48cCkqjyW7Yl?rdid=l0AmbYKwueSCIBVu

[24] https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/posts/pfbid0te9ZLVPNXkRdRfzkpbADGzteJ2vp52qkU9TXQ8RPWwcsShgNDRo4btgmbavBwBLbl

ახალი არ არის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები გასაჩივრებული კანონის სუბიექტ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიებს მოისხსნიებენ, როგორც „უცხოეთის აგენტებს," „უსამშობლოებს," „რადიკალებს," გასაჩივრებული კანონით კი ხელისუფლებამ შექმნა სამართლებრივი მოწესრიგება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მადისკრედიტირებელ კამპანიას, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოება და კრიტიკული მედია არა მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის რიტორიკაში იქნება უცხოელების აგენტი და მათი ინტერესების გამტარებელი, არამედ აღნიშნული მადისკრედიტირებელი იარლიყი ნორმატიულ დონეზეც მიეწებებათ. ხელისუფლების მისწრაფებას - გაანადგუროს არასამთავრობო სექტორი და დამოუკიდებელი მედია - ადასტურებს ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ კანონი *„დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის"*. ამდენად, ხელისუფლების და პარტია „ქართული ოცნების" წარმომადგენლების განცხადებებით, ცხადად დასტურდება, რომ გასაჩივრებული კანონის რეალური მიზანი ქართული პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული სივრციდან არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის გაქრობაა.

იმ ფონზე, როდესაც ნათელია, თუ რას წარმოადგენს კანონის რეალური მიზანი, კანონის მიღებით და მისი სამომავლო ამოქმედებით საფრთხე ექმნება და გარდაუვალი დაზიანების წინაშე დგას საქართველოს ევროკავშირში ასოცირების პროცესი. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების საწინააღმდეგოდ, საქართველოს ხელისუფლებამ გასაჩივრებული კანონის მიღებით გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომლითაც დააზიანა საქართველოს ევროპის კავშირში ასოცირების პროცესი, რითაც დაარღვია კონსტიტუციის 78-ე მუხლი. აღნიშნულს ადასტურებს როგორც ევროკავშირის ოფიციალური სტრუქტურების, წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ გაკეთებული განცხადებები თუ მათ მიერ მიღებული ზომები.

გასაჩივრებული კანონის მიღების შემდგომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ქართველი ხალხის მიერ არჩეული ევროპული კურსიდან გადახვევისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის საფუძველზე სავიზო სანქციები დაუწესა პარტია „ქართული ოცნების" წევრებს, პარლამენტის წევრებს, სამართალდამცავებსა და კერძო პირებს.[25] განსაკუთრებით აღსანიშნავია 2024 წლის 27 ივნისს ევროპული საბჭოს მიერ მიღებული დასკვნა[26], სადაც მათ შორის საუბარია საქართველოზე გასაჩივრებული კანონის კონტექსტში. კერძოდ, დასკვნის მიხედვით: „ევროპული საბჭო გამოხატავს მის სერიოზულ შეშფოთებას საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონი „უცხოური გავლენის გამჭირვალეობის შესახებ" წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს ევროკომისიის მიერ

[25] სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის, მეთიუ მილერის 2024 წლის 6 ივნისის განცხადება https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-june-06-2024/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0A2d4FTiy5EENBV-jjGNPYxkUB0dqV2P-_lavxzAEEmVYGP2R1TEyYcMQ_aem_6iQdwKjT5J-AWMjydB39tQ#post-563929-GEORGIA

[26] European Council, Conclusion of June 27, 2024, ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2024/06/28/european-council-conclusions-27-june-2024/

განსაზღვრულ რეკომენდაციებთან მიმართებით. ევროპული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განმარტონ თავიანთი განზრახვები, შეცვალონ მოქმედების მიმდინარე კურსი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზას, რაც დე ფაქტო იწვევს გაწევრიანების პროცესის შეჩერებას. ევროპული საბჭო მოუწოდებს, შეწყდეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო აქტივისტების და ჟურნალისტების მიმართ მზარდი დაშინების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმის აქტები. იგი იხსენებს, რომ ღირებულებებისა და პრინციპების პატივისცემა, რომლებზეც დაფუძნებულია ევროკავშირი, აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც სურს გახდეს ევროკავშირის წევრი". აღნიშნული დასკვნის გამოქვეყნების შემდგომ, ევროკავშირის ელმჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ განაცხადა: „სამწუხაროდ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი ამჟამად გაჩერებულია - ეს ევროკავშირის ლიდერებმა ევროპული საბჭოს ბოლო სხდომაზე გადაწყვიტეს. ევროკავშირმა შეაჩერა საქართველოსთვის მხარდაჭერა ევროპული სამშვიდობო ფონდიდან (EPF) – 30 მილიონი ევროს ოდენობით 2024 წლისთვის. სიტუაციის შემდგომი გაუარესების შემთხვევაში, განიხილება სხვა ზომების მიღებაც"[27].

ზემოთ აღნიშნული განცხადებები და აშშ-ს თუ ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმული ნაბიჯები ნათლად მიუთითებს, რომ ევროკავშირი გასაჩივრებული კანონის მიღების პირობებში, შეუძლებლად მიიჩნევს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლას, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ კანონის მიღებით და მისი ამოქმედებით ირღვევა კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღრული საგარეო კურსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მიღებით მიიღწევა არა არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭირვალეობა, არამედ საფრთხე ექმნება კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრულ საგარეო კურსს. წინამდებარე სარჩელით საქართველოს პარლამენტის წევრ ოპოზიციონერ დეპუტატებს გვსურს, ერთი მხრივ, დავიცვათ გასაჩივრებული კანონით გაუმართლებლად შეზღუდული ადამიანის უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველი ხალხის ურყევი ნება - ევროკავშირში სრული ინტეგრაციის პროცესი, რასაც კონსტიტუციის 78-ე მუხლი განამტკიცებს. სარჩელის ქვედა ნაწილებში წარმოდგენილი იქნება დეტალური სამართლებრივი დასაბუთება თუ რატომ ეწინააღმდეგება გასაჩივრებული კანონი ადამიანის უფლებებს და საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს.

3. სადავო კანონის წინააღმდეგობა მე-9 ნაბიჯით გათვალისწინებულ სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების უფლებასთან

2014 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას, რაც ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში, სავაჭრო სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებასთან ერთად. ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს საფუძველს საქართველოს ევროკავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. საქართველოს ამბიცია მოიცავს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, კარგი მმართველობის და ეკონომიკური განვითარების გაღრმავებას. ასოცირების შეთანხმება ადგენს ისეთ ინსტიტუციურ მექანიზმს, როგორიცაა ასოცირების საბჭო, რომლის ფუნქციასაც

[27] https://www.facebook.com/EUinGeorgia/posts/pfbid0211PRAUWHWSZnGDqWnzTTPPTyy2B9kucmmgP71cdHT6AvWxy9eTzb5gjSoDkqVBQVl?rdid=gVq8OVjql0Pbv0Tv

წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების აღსრულების ზედამხედველობა. ასოცირების დღის წესრიგით განისაზღვრება პრიორიტეტები აუცილებელია ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად.[28]

ასოცირების შეთანხმება თავისთავად არის ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის შედეგი. ეს უკანასკნელი არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელშიც საქართველო, 16 პარტნიორ ქვეყანასთან ერთად, ერთ-ერთი მონაწილეა. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება გაფართოებული ევროკავშირის და მისი სამეზობლოს განვითარებას, სტაბილურობას და უსაფრთხოებას. 2009 წელს ევროკავშირმა წამოიწყო აღმოსავლეთის პარტნიორობა, რაც მათ შორის მოიცავს საქართველოს და მასთან თანამშრომლობის გაღრმავებას. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეგიონის მნიშვნელობას და ევროკავშირის სურვილს - საქართველო გახდეს მისი სრულფასოვანი წევრი. რეფორმების გაღრმავებასთან ერთად, აღმოსავლეთის პარტნიორობა მუშაობს მოქალაქეების მობილობაზე, გაძლიერებულ თანამშრომლობაზე ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ენერგეტიკა და გარემოს დაცვა.[29]

2022 წლის 3 მარტს საქართველომ წარადგინა განაცხადი ევროპის კავშირის წევრობასთან დაკავშირებით. 2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა და გამოთქვა თავისი მზადყოფნა, საქართველოსათვის მიენიჭებინა კანდიდატის სტატუსი, რაც წევრობაზე საქართველოს განაცხადში იყო აღნიშნული, კომისიის დასკვნაში მითითებული 12 პრიორიტეტის შესრულების შემთხვევაში. ამ მნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებამ გაუხსნა გზა საქართველოს ევროპის კავშირისკენ, ვინაიდან აღიარებული იქნა, რომ საქართველოს აქვს ევროპის კავშირში გაწევრიანების პერსპექტივა. 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკავშირმა გამოაქვეყნა ყოველწლიური შესრულების ანგარიში, რათა დაფიქსირებულიყო, რეფორმების პროცესში საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.[30]

2023 წლის 8 ნოემბერს ევროპულმა კომისიამ რეკომენდაცია მისცა ევროპულ საბჭოს, მიენიჭებინა საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსი. კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, მნიშვნელოვან დასკვნებთან ერთად და გასცა 2023 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, სადაც ფორმულირებულია საქართველოს მიერ გადასადგმელი 9 ნაბიჯი.[31] 2023 წლის 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა, მიენიჭებინა საქართველოსათვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი იმ პირობით, რომ საქართველო გადადგამს 2023 წლის 8 ნოემბრის კომისიის რეკომენდაციაში მითითებულ შესაბამის ნაბიჯებს.[32]

ამდენად, აღნიშნული 9 ნაბიჯის შესრულება აუცილებელია იმისათვის, რომ საქართველოსთან გაიხსნას მოლაპარაკებები, ევროკავშირთან სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში

[28] https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221
[29] https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221
[30] https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221
[31] https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221
[32] https://www.eeas.europa.eu/georgia/european-union-and-georgia_en?s=221

მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ევროპული კომისიის მიერ განსაზღვრულ მე-9 ნაბიჯში აღნიშნულია: „საქართველომ უნდა გააძლიეროს ადამიანის უფლებების დაცვა, ამბიციური ადამიანის უფლებების სტრატეგიის განხორციელების ჩათვლით და უზრუნველყოს შეკრების და გამოხატვის თავისუფლების დაცვა. საქართველომ უნდა დაიწყოს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიება მოწყვლად ჯგუფების, მედიაში დასაქმებულ პირების და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების საფრთხის შემცველი პირების მიმართ და მართლმსაჯულებას წარუდგინოს ძალადობის ორგანიზატორები და უშუალოდ ჩამდენი პირები. ხელისუფლებამ კონსულტაცია უნდა გაიაროს სამოქალაქო საზოგადოებასთან და უზრუნველყოს მათი ჩართულობა, რაც გულისხმობს სრულყოფილ მონაწილეობას საკანონმდებლო და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და **სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება ოპერირებდეს (მუშაობდეს) თავისუფლად.** [33]

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი არ მოდის შესაბამისობაში მე-9 ნაბიჯის ბოლო წინადადებასთან, რომლითაც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი მუშაობა (ოპერირება). კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ისეთ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა, ამავე კანონის მე-4 მუხლით აკისრებს რეგისტრაციის გავლის ვალდებულებას, სადაც აისახება ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში დაფინანსების ოდენობის, მისი წყაროს, ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. ეს ინფორმაცია ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, არის საჯარო და განთავსდება სათანადო ვებ-გვერდზე. კანონის მე-6 მუხლით, ყოველი წლის იანვრის თვეში უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციას მოეთხოვება დეკლარაციის წარდგენა, სადაც აისახება ზემოთ ხსენებული ინფორმაცია, რაც ასევე ქვეყნდება საჯაროდ. კანონით, არასამეწარმეო (იურიდიული) პირი ექვემდებარება მონიტორინგს წელიწადში 2 ჯერ. ამ კანონით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ვალდებულია, წარადგინოს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური ინფორმაცია, სხვა საიდუმლო ინფორმაცია. ამ ვალდებულებების მიმართ დაუმორჩილებლობა იწვევს ჯარიმას, რომლის რაოდენობა მერყეობს 5000-დან 25 000 ლარამდე. ცხადია, ეს ნორმები ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობას, რაც მე-9 ნაბიჯის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს. იმავდროულად, ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულებას, რაც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ნაწილია. ამით სადავო კანონი ხელს უშლის საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციაში. ამ კანონის მიღებით საქართველოს პარლამენტმა დაარღვია კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

---

[33] https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/2023-communication-eu-enlargement-policy-extract-about-georgia_en

ის, რომ ეს კანონი არ შეესაბამება მე-9 ნაბიჯში აღნიშნული სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობას, ეს გამოჩნდა კომისიის ანგარიშითაც, რომლითაც საბჭოს რეკომენდაცია მიეცა საქართველოს მიეღო კანდიდატის სტატუსი და, იმავდროულად, მოხდა მე-9 ნაბიჯის ფორმულირება. ევროპული კომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში „საქართველოს 2023“ აღნიშნულია: „სამოქალაქო საზოგადოება კარგად განვითარებული, მრავალფეროვანი, სიცოცხლისუნარიანია და კვლავაც სარგებლობს მუშაობის (ოპერირების) თავისუფლებით. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მე-10 პრიორიტეტი), თავდაპირველად მხარდაჭერილი იყო ხელისუფლების მხრიდან 12 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის გზით. ამ პროცესს ლაქა მიადგა 2023 წლის მარტში ინიციირებული კანონპროექტით, რომელიც ქმნიდა „უცხოური გავლენის აგენტების“ რეესტრს. ეს კანონპროექტი საბოლოოდ გაიწვიეს თბილისში გამართული ფართომასშტაბიანი პროტესტის და მკაცრი საერთაშორისო რეაქციის შედეგად. ამ კანონპროექტმა უნდობლობა ჩაუნერგა სამოქალაქო საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ და წაახალისა სამოქალაქო საზოგადოების ბოიკოტი მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებისას კონსულტაციაში მონაწილეობაზე...“[34]

ევროკომისიის ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო საზოგადოებას. ამ თავში აღნიშნულია: „სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში საკამოდ განვითარებული, მრავალფეროვანი და სიცოცხლისუნარიანია და კვლავაც სარგებლობს თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობით, თუმცა კი მათთვის იზრდება მტრული გარემო. სამართლებრივი სივრცე კვლავაც ხელშემწყობია სამოქალაქო საზოგადოებისათვის სწრაფი რეგისტრაციის და ანგარიშგების მოთხოვნების გამო. სამოქალაქო საზოგადოება სარგებლობს განსხვავებული საგადასახადო რეჟიმით. არ არსებობს შეზღუდვები გაერთიანების და ოპერირების თავისუფლებაზე.“[35] ეს ხელსაყრელი გარემო თანდათან დარტყმის წინაშე დადგა პოლიტიკური ლიდერების და რადიკალური ჯგუფების მხრიდან მტრული რიტორიკის გამო და ამას დაემატა, კანონპროექტი, რომელიც იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებენ, აკრავდა „უცხოური აგენტის“ იარლიყს და უქვემდებარებდა მას სანქციებს ამ კანონით დადგენილი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობის გამო. 2023 წლის 7 მარტს მმართველმა უმრავლესობამ მიიღო კანონპროექტი პირველი მოსმენით. ამან გამოიწვია ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის უარყოფითი რეაქცია და გახდა 7-8 მარტის დიდი დემონსტრაციის მიზეზი. ამის შედეგად,

[34] კომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი საქართველოსთან დაკავშირებით 2023 წლის ანგარიში კომისიის მხრიდან ევროპულ პარლამენტთან, საბჭოსთან, ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან, რეგიონების კომიტეტთან კომუნიკაცია 2023 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე ბრუსელი 8.11.2023 SWD(2023) 697 გვერდი 4 https://shorturl.at/sGHX1

[35] კომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი საქართველოსთან დაკავშირებით 2023 წლის ანგარიში კომისიის მხრიდან ევროპულ პარლამენტთან, საბჭოსთან, ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან, რეგიონების კომიტეტთან კომუნიკაცია 2023 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე ბრუსელი 8.11.2023 SWD(2023) 697 გვერდი 16 https://shorturl.at/sGHX1

საპარლამენტო უმრავლესობამ გაიწვია კანონპროექტი, 10 მარტს მეორე მოსმენისას კანონპროექტისათვის ხმის მიცემისაგან თავის შეკავებით. ოპოზიციამ კანონპროექტის ჩაგდებას მხარი დაუჭირა."[36]
ამგვარად, ევროპულმა კომისიამ „აგენტების შესახებ" კანონპროექტი მიიჩნია საფრთხედ სამოქალაქო საზოგადოების ოპერირებისათვის, პოლიტიკური ლიდერების და რადიკალური ჯგუფების მხრიდან მტრულ რიტორიკასთან ერთად. სწორედ ამიტომ ევროპულმა კომისიამ შეიმუშავა მე-9 ნაბიჯი, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნდა მისცემოდათ თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობა. ამ რეკომენდაციის შემუშავების საფუძველი 2023 წლის მარტში „აგენტების კანონის" ინიცირების გამოცდილება გახდა. მე-9 ნაბიჯში აღნიშნული სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობა, ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის მოლაპარაკების გახსნის აუცილებელ ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრა. მე-9 ნაბიჯის გადადგმა გულისხმობდა იმას, რომ პარლამენტს თავი უნდა შეეკავებინა სადავო კანონის ხელახალი ინიცირებისგან. ამ კანონის პირობებში სამოქალაქო საზოგადოებას არა აქვს თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობა, შესაბამისად, ვერ სრულდება მე-9 ნაბიჯის მოთხოვნები და ამით ხელი ეშლება საქართველოს ევროპის კავშირში ინტეგრაციას. სადავო კანონის მიღებით კი საქართველოს პარლამენტმა არ შეასრულა მე-9 ნაბიჯის მოთხოვნა და ამის გამო დაარღვია კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

2023 წლის 8 ნოემბერს, როდესაც ევროპული კომისიის ანგარიში გამოქვეყნდა, ამ დროისათვის „აგენტების შესახებ "კანონი მეორე მოსმენით იყო ჩაგდებული და საპარლამენტო უმრავლესობას პირობა ჰქონდა დადებული, რომ აღარ დააინიცირებდნენ ამ კანონპროექტს. შესაბამისად, ამ ფაქტმა გავლენა არ მოახდინა ევროკომისიის შეფასებაზე. სამაგიეროდ, ევროპული კომისია ძალიან კრიტიკული იყო ბოსნია-ჰერცოგოვინასთან მიმართებაში, რომლის შემადგენლობაში შემავალ სერბულ რესპუბლიკაში (Republica Srpska) ეს კანონპროექტი კვლავ დღის წესრიგში იდგა. ევროპულმა კომისიამ ბოსნია-ჰერცოგოვინასთან დაკავშირებით შედგენილ 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში მიუთითა: „2023 წლის სექტემბერში სერბული რესპუბლიკის ასამბლეამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებს „უცხოელ აგენტებს." ევროკომისიის თქმით, თუ ეს კანონპროექტი ბოლომდე იქნება მიღებული, ეს იქნება კიდევ ერთი დასანანი და უდავოდ მთავარი უკან გადადგმული ნაბიჯი."[37]

ამასთან დაკავშირებით, ევროპულმა კომისიამ 2023 წლის ანგარიშში განაცხადა: ბოსნია-ჰერცოგოვინას შემადგენლობაში შემავალ სერბულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს კანონპროექტის მიღების პროცესი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას მონიშნავს, როგორც „უცხოელ აგენტს." თუ ეს კანონპროექტი იქნება

[36] კომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი საქართველოსთან დაკავშირებით 2023 წლის ანგარიში კომისიის მხრიდან ევროპულ პარლამენტთან, საბჭოსთან, ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან, რეგიონების კომიტეტთან კომუნიკაცია 2023 წლის კომუნიკაცია ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის თაობაზე ბრუსელი 8.11.2023 SWD(2023) 697 გვერდი 16 https://shorturl.at/sGHX1

[37] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Bosnia and Herzegovina 2023 Report Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 691 final page 7 https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/e3045ec9-f2fc-45c8-a97f-58a2d9b9945a_en?filename=SWD_2023_691%20Bosnia%20and%20Herzegovina%20report.pdf

მიღებული, ის დააზიანებს დემოკრატიის ეფექტიან ფუნქციონირებას, იქნება კიდევ ერთი დასანანი და, უდავოდ, უკან გადადგმული ნაბიჯი. მოვლენების ამგვარი განვითარება უარყოფით გავლენას იქონიებს მე-4 პრიორიტეტის (ბოსნია-ჰერცოგოვინას ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესება); შესრულებაზე. „აგენტების კანონი“ ასევე არღვევს მე-12 პრიორიტეტის მოთხოვნას, რაც გულისხმობს ბოსნია-ჰერცოგოვინაში გამოხატვის და მედიის თავისუფლების დაცვას და მე-11 პრიორიტეტის მოთხოვნას, რაც გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებისათვის სამოქმედო გარემოს უზრუნველყოფას.[38]

ბოსნია-ჰერცოგოვინას მაგალითი და საკუთრივ საქართველოსთან მიმართებაში ევროკომისიის ანგარიში მეტყველებს იმაზე, რომ სადავო კანონი ხელს შეუშლის მე-9 გაწერილ ისეთი რეკომენდაციის შესრულებას, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოებისათვის თავისუფალი მუშაობის (ოპერირების) შესაძლებლობის მიცემას და ამით დაარღვევს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მოთხოვნას.

4. ასოცირების ხელშეკრულებით სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა

სამოქალაქო საზოგადოების ოპერირების შეზღუდვა ეწინააღმდეგება ევროკავშირის წინაშე ასოცირების ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებსაც. 2014 წლის 30 აგვისტოს, ერთი მხრივ, ევროპის კავშირს, ევროპის ატომურ გაერთიანებას და მის წევრებს, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს შორის გაფორმებულ ასოცირების ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია: „მხარეები (ევროკავშირი და საქართველო) გამოთქვამენ სურვილს, შეიტანონ წვლილი საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინსტიტუციურ განვითარებაში ფართომაშტაბიანი თანამშრომლობის გზით, რაც მოიცავს საერთო ინტერესის მქონე სფეროების ფართო სპექტრს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასაც. [39] ასოცირების შეთანხმების 362-ე მუხლის თანახმად, მხარეები (საქართველო და ევროკავშირი), კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის და დაცვის თაობაზე გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის (UNESCO) 2005 წლის კონვენციის სათანადოდ მხედველობაში მიღებით, ხელს უწყობენ კულტურის სფეროში თანამშრომლობას. მხარეები აწარმოებენ რეგულარულ პოლიტიკურ დიალოგს საერთო ინტერესების სფეროში, მათ შორის საქართველოსა და ევროკავშირში კულტურული ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით. მხარეთა თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კულტურათა შორის დიალოგს, მათ შორის, ევროკავშირიდან და საქართველოდან კულტურის სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გზით.[40]

---

[38] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Bosnia and Herzegovina 2023 Report Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy Brussels, 8.11.2023 SWD(2023) 691 final pages 13-14 https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/e3045ec9-f2fc-45c8-a97f-58a2d9b9945a_en?filename=SWD_2023_691%20Bosnia%20and%20Herzegovina%20report.pdf

[39] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 7 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[40] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 124 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

ასოცირების ხელშეკრულების 369-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა გააძლიერონ დიალოგი სამოქალაქო საზოგადოების თანამშრობლობის თაობაზე შემდეგი ამოცანების მისაღწევად:
ა) ევროკავშირსა და საქართველოში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ყველა სექტორს შორის კონტაქტის გასაძლიერებლად, მათ შორის ინფორმაციის და გამოცდილების გასაზიარებლად;
ბ) საქართველოზე, მის კულტურასა და ისტორიაზე, ევროკავშირში, განსაკუთრებით კი მის წევრ ქვეყნებში დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, უკეთესი ცოდნის უზრუნველყოფა. ამ გზით მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა, უკეთესად განსაზღვრონ სამომავლოდ მათ ურთიერთობაში წარმოშობილი მიღწევები და გამოწვევები.
გ) ნაცვალგების საფუძველზე, საქართველოში, განსაკუთრებით კი ქართულ სამოქალაქო საზოგადოებაში, ევროკავშირის შესახებ უკეთესი ცოდნის უზრუნველყოფა. ფოკუსი დაუღალავად გასწორებული უნდა იყოს იმ ღირებულებებზე, რომელზეც ევროკავშირია დაფუძნებული, ასევე ევროკავშირის პოლიტიკასა და მის ფუნქციონირებაზე.

ასოცირების ხელშეკრულების 370-ე მუხლის თანახმად, მხარეები ხელს უწყობენ დიალოგს და თანამშრომლობას ორივე მხარეს არსებულ სამოქალაქო საზოგადოებაში, რაც წარმოადგენს ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობის შემადგენელ ნაწილს. ამ დიალოგისა და თანამშრომლობის მიზანია:
ა)სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში, განსაკუთრებით კი ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციაში;
ბ) სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით კი, ღია, გამჭვირვალე და რეგულარული დიალოგის შენარჩუნება საჯარო დაწესებულებებს, გაერთიანებების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის;
გ) ისეთი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა გზით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინსტიტუციურ მშენებლობას და განვითარებას, მათ შორის მათ მიერ განხორციელებული საზოგადოების ინტერესების დაცვაში მხარდაჭერას, არაფორმალური და ფორმალური ქსელების შექმნას, ორმხრივ ვიზიტებს და სამუშაო შეხვედრებს, რაც შესაძლებელს გახდის სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას.
დ) ერთ ხელშემკვრელ მხარეს მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ჰქონდეს შესაძლებლობა, ახლოს გაეცნონ, მეორე მხარეს როგორ მიმდინარეობს კონსულტაციის და დიალოგის პროცესი, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, სოციალურ პარტნიორებთან და საჯარო ხელისუფლებასთან, რათა ამით განმტკიცდეს საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა.[41]

ასოცირების შეთანხმების მე-4 მუხლის თანახმად, მხარეები თანამშრომლობენ დემოკრატიული ინსტიტუტების და კანონის უზენაესობის სტაბილურობისა და ეფექტიანობის განვითარების,

[41] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; pagees 125-126 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

კონსოლიდირებისა და გაზრდისათვის, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას; აგრძელებენ სასამართლო და სამართლებრივ რეფორმებს, რათა ამის შედეგად გარანტირებული იყოს სასამართლოს დამოუკიდებლობა; გაძლიერდეს სასამართლოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები; გარანტირებული იყოს სამართალდამცავი ორგანოების მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა; გაგრძელდეს საჯარო მმართველობის რეფორმა და ანგარიშვალდებული, ეფექტიანი, ეფექტური, გამჭვირვალე და პროფესიული საჯარო სამსახურის უზრუნველყოფა. კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის გაგრძელება, განსაკუთრებით კი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების, ისეთის როგორიცაა გაერთიანებული ერების 2003 წლის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის, ეფექტიანი იმპლემენტაცია.[42]

ასოცირების შეთანხმების 383-ე მუხლის თანახმად, საქართველო სარგებელს იღებს შესაბამისი ევროპული დაფინანსების მექანიზმებიდან და ინსტრუმენტებიდან. საქართველო ასევე სარგებელს იღებს ევროპულ საინვესტიციო ბანკთან (EIB), რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპულ ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად. ფინანსური დახმარება ხელს უწყობს ამ შეთანხმების მიზნების მიღწევას და განხორციელდება ამ თავის შესაბამისად. 384-ე მუხლის თანახმად, ფინანსური დახმარების ძირითადი პრინციპები გაწერილია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტების რეგულაციებში.[43]

ასოცირების შეთანხმების 383-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის ფინანსური დახმარების პრიორიტეტების სფერო თანხმდება მხარეებს შორის და გაიწერება ყოველწლიურ სამოქმედო პროგრამებში, რაც გამომდინარეობს მრავალწლიანი დაფინანსების ჩარჩოდან და ეფუძნება შეთანხმებული პოლიტიკის პრიორიტეტებს. ამ პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების ოდენობა დგინდება საქართველოს საჭიროების, სექტორული შესაძლებლობების და რეფორმების პროგრესის მხედველობაში მიღების გზით. დახმარების ოდენობის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებს.[44]

ასოცირების შეთანხმების 386-ე მუხლის მიხედვით, ხელმისაწვდომი რესურსების ოპტიმალურად გამოსაყენებლად, მხარეები შეეცდებიან, რომ ევროკავშირის დახმარება გამოიყენონ სხვა დონორ ქვეყნებთან, დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის და კოორდინაციის გზით, დახმარების ეფექტიანობის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად.

---

[42] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 11 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[43] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 129 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[44] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 129 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

ასოცირების შეთანხმების 387-ე მუხლის თანახმად, ფინანსური დახმარების ძირითადი სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ტექნიკური საფუძვლები დგინდება მხარეებს შორის გაფორმებული შესაბამისი შეთანხმებით.[45] ასოცირების საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია ფინანსური დახმარების განხორციელების მიმდინარეობის და ასოცირების შეთანხმების მიზნების მიღწევაზე ამ დაფინანსების ზეგავლენის შესახებ. ამ მიზნით, ორივე მხარის უფლებამოსილი ორგანოები ახდენენ ერთობლივ და განგრძობად მონიტორინგსა და შეფასებას.[46] ასოცირების შეთანხმების 388-ე მუხლის თანახმად, მხარეები დახმარებას ხარჯავენ გონივრული ფინანსური მენეჯმენტის და თანამშრომლობის გზით, ევროკავშირისა და საქართველოს ფინანსური ინტერესების დაცვით ამ კარის მე-2 თავი (სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლის და კონტროლის დებულებები) შესაბამისად.[47]

ასოცირების ხელშეკრულების, ზემოთ მითითებული, ნორმები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველომ თანხმობა მისცა ევროკავშირს, რათა უზრუნველეყო ქართული სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობა ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოებასთან. ეს ურთიერთობა გამოიხატება იმაში, რომ მოხდეს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ევროკავშირში ვიზიტის გზით იმის გაცნობა, თუ როგორ არის ევროპული სამოქალაქო საზოგადოება გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული. ამასთან საქართველომ, ასოცირების ხელშეკრულებით თანხმობა მისცა ევროკავშირს, ქართული სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით, ქართულ საზოგადოებაში მომხდარიყო ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის ღირებულებების თაობაზე. ასოცირების შეთანხმებით, საქართველომ ევროკავშირს მისცა უფლება, მონაწილეობა მიეღო საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ პროექტებში სამოქალაქო საზოგადოების და კულტურის სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ ამოცანების განსახორციელებლად, ასოცირების შეთანხმების 383-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირი გამოჰყოფს ფინანსურ დახმარებას, რაც ბუნებრივია, სახელმწიფოსთან ერთად მიემართება არასამთავრობო სექტორისკენ საიმისოდ, რომ ისინი გაეცნონ ევროკავშირში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, საქართველოში დაამკვიდრონ ევროკავშირის ღირებულებები, გაავრცელონ ინფორმაცია ევროკავშირის პოლიტიკის თაობაზე. ვინაიდან ევროკავშირის ფინანსურ დახმარება უნდა ემსახურებოდეს ასოცირების ხელშეკრულების მიზნების მიღწევას, ეს იმას გულისხმობს, რომ ევროკავშირს, საქართველოს ხელისუფლებამ მისცა უფლება, დაეფინანსებინა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები ევროკავშირის ღირებულებების გასავრცლებლად და ევროკავშირში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილების გასაცნობად.

---

[45] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 129 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[46] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 129 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[47] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 129 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

ამასთან, ასოცირების ხელშეკრულების 370-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის ფინანსური დახმარება ხმარდება იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი იყვნენ ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციაში. ეს გულისხმობს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო სექტორის ჩართულობას, ასოცირების ხელშეკრულების მე-4 მუხლის იმპლემენტაციაში, რაც მოიცავს, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღო ქვეყანაში ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების და კანონის უზენაესობის, სასამართლოს რეფორმირებაში, სამართალდამცავი ორგანოების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს სახელმწიფომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და საქართველოს პარლამენტის მიერ ამ ხელშეკრულების რატიფიცირებით ნება მისცა ევროკავშირს, დაეფინანსებინა საქართველოში მოქმედი ის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ახდენენ ევროკავშირის ღირებულებების პოპულარიზაციას, ევროკავშირის და სხვა დონორი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების თუ ქვეყნების თანადაფინანსებით (ამგვარი თანადაფინანსების შესაძლებლობას ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების 386 მუხლი). ევროკავშირის დაფინანსებით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვაში, სასამართლო რეფორმაში, კორუფციის აღმოფხვრაში, სამართალდამცავი ორგანოების მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაში.

სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს უწოდებს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომლებმაც, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღეს ევროკავშირის მხრიდან დაფინანსება ადამიანის უფლებების დასაცავად, კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო, კულტურული, სამეცნიერო პროექტების განსახორციელებლად. სახელწოდება „უცხოური ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ არის შეცდომაში შემყვანი და არასწორი იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან მიმართებით, რომელიც ევროკავშირისგან, ევროკავშირისა და სხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამონაწილეობით, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, იღებს დაფინანსებას ასოცირების ხელშეკრულების მიზნების რეალიზაციისათვის. ასოცირების ხელშეკრულების აღსრულება, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციასთან და ამგვარად, კონსტიტუციის 78-ე მუხლით კონსტიტუციური ორგანოებისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებასთან, არც ერთი სხვა ქვეყნის ინტერესს არ წარმოადგენს გარდა საქართველოსი. შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც ევროკავშირის სრული ან თანადაფინანსებით ახორციელებენ ასოცირების ხელშეკრულების მიზნების რეალიზაციას, მოქმედებენ მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებით. საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებში შედის ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია.

ასოცირების შეთანხმება არის საერთაშორისო ხელშეკრულება. ამ შეთანხმებაზე ვრცელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1969 წლის „ვენის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნები. აღნიშნული საერთაშორისო ინსტრუმენტის 26-ე მუხლი ადგენს პრინციპს Pacta sunt servanda (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს). „ვენის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, ყველა ხელშეკრულება, რაც

ძალაშია, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ ხელშემკვრელმა მხარეებმა. ამავე კონვენციის პრეამბულის მეოთხე აბზაცში აღნიშნულია: „ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მიუთითებენ, რომ მათი თავისუფალი ნების საფუძველზე, პრინციპის - Pacta sunt servanda- კეთილსინდისიერად, რეალიზაცია არის საყოველთაოდ აღიარებული.“ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მოქცეული ნებისმიერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ევროკავშირისაგან იღებს დაფინანსებას, რათა ხელი შეუწყოს ასოცირების შეთანხმების რეალიზაციას, ამით ხელს უწყობს საქართველოს სახელმწიფოს, კეთილსინდისიერად აღასრულოს, მის მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად ნაკისრი ვალდებულება. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად, არის ამ სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი, ვინაიდან იცავს ამ სახელმწიფოს, საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციაში ჩართული ორგანიზაციების სახელდება, როგორც არა საქართველოს, არამედ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლებად, არ შეესაბამება საქართველოს მიერ, ასოცირების ხელშეკრულებით, თავისუფალი ნების საფუძველზე, აღებულ ვალდებულებას და არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების კეთილსინდისიერად შესრულებას.

ამასთან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ევროკავშირის სრული ან თანადაფინანსებით, ესწრაფვის ასოცირების შეთანხმების მიზნების რეალიზაციას, ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციურ ორგანოებს - შეასრულონ კონსტიტუციის 78-ე მუხლით აღებული ვალდებულება - მოხდეს საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპის კავშირში. საერთაშორისო ვალდებულებასთან ერთად, ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციით - დაკისრებული ვალდებულების შესრულებაში ხელის შეწყობა - არის საქართველოს ინტერესების გატარება. „უცხოური ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ იარლიყის მიკერება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის, იმავდროულად კონსტიტუციის 78-ე მუხლის საწინააღმდეგოა.

ამასთან კონსტიტუციის 78-ე მუხლთან პრობლემურია სადავო კანონის მე-3 მუხლიც. ამ ნორმის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის: ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვ სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული. ამ ნორმის დეფინიციის ქვეშ ექცევა ევროკავშირი, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. კერძოდ, 1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს უკანასკნელი ძალაში შევიდა 1993 წლის 7 თებერვალს.[48] მაასტრიხტის ხელშეკრულება გაფორმდა 12 ევროპული სახელმწიფოს ლიდერის სახელით. ხელშეკრულების პირველი კარის A მუხლის თანახმად: „ამ ხელშეკრულებით მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ერთმანეთს შორის აფუძნებენ ევროპის კავშირს (შემდგომში კავშირს). ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ევროპის ხალხებს შორის უფრო ახლო კავშირის შექმნის პროცესის ახალ ეტაპს, რომლითაც

[48] https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/in-the-past/the-parliament-and-the-treaties/maastricht-treaty

გადაწყვეტილებები მიიღება მოქალაქეებთან, რაც შეიძლება, ახლოს.“[49] მაასტრიხტის საერთაშორისო ხელშეკრულებით დაფუძნებული ევროპის კავშირი წარმოადგენს უცხო ძალას, სადავო კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად. კონსტიტუციის 78-ე მუხლის საწინააღმდეგოა ის გარემოება, რომ სადავო ნორმა უცხო ძალად მიიჩნევს ორგანიზაციას, რომელში სრული გაწევრიანებაც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მიზანია და ამ ეტაპზე გაფორმებული აქვს ასოცირების შეთანხმება. ეს დოკუმენტი იმაზე ახლო ურთიერთობებს წარმოშობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ვიდრე ჩვენს სახელმწიფოს შეიძლება გააჩნდეს მისთვის სრულიად უცხო საერთაშორისო ორგანიზაციასთან. მაგალითად, უცხო საერთაშორისო ორგანიზაციად საქართველოსათვის შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) ან კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია (ОДКБ). ასოცირების შეთანხმების 47-ე მუხლის თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას, საკუთარი შიდა კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის სტანდარტებთან.

ასოცირების შეთანხმების 47-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, სხვადასხვა სექტორის დაახლოების პრიორიტეტების მხედველობაში მიღებით, საქართველო ატარებს ყველა აუცილებელ ღონისძიებებს იმისათვის, რომ თანდათანობით დაუახლოვდეს ევროკავშირის ტექნიკურ რეგულაციებს, სტანდარტებს, მეტეოროლოგიას, შესაბამისობის შეფასებას, შესაბამისობის სისტემებს და ბაზრის ზედამხედველობის მოთხოვნებს. საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ შეასრულებს იმ პრინციპებს და დაამკვიდრებს იმ პრაქტიკას, რაც გაწერილია ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტებით (ამ შეთანხმების Annex III-B მითითებული სია). იმ ღონისძიებების სია, რაც გატარებული უნდა იქნას კანონმდებლობის დაახლოებისათვის, მოცემულია ამ შეთანხმების III-A დანართში. ამ უკანასკნელში ცვლილებების შეტანა დასაშვებია ასოცირების კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეთანხმების 408 (4) მუხლით.[50]

ასოცირების 47-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულია: ზემოთ მითითებული მიზნების მისაღწევად, საქართველომ, საკუთარი პრიორიტეტების მხედველობაში მითებით, თანდათანობით უნდა დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს.[51] ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს საერთო და დარგობრივი კანონმდებლობის ცვლილებებისაგან, თუკი ეს კანონმდებლობა არეგულირებს საკითხებს, რაც ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების პრიორიტეტის სფეროში ხვდება. საქართველოს კანონმდებლობის ცვლილება დასაშვებია, თუკი ამით ხდება შიდა კანონმდებლობის თანდათანობით დაახლოება

[49] https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:11992M/TXT

[50] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 23 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[51] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

ევროკავშირის შესაბამის სტანდარტებთან. შიდა კანონმდებლობაში შეტანილი ამგვარი ცვლილებების შესახებ უნდა ეცნობოს ევროკავშირს.[52]

ამგვარად, როცა საქართველო ვალდებულია, თავისი არსებული კანონმდებლობა შეუსაბამოს რომელიმე ორგანიზაციის სტანდარტებს, ეს ორგანიზაცია ვერ ჩაითვლება უცხო ძალად, ისევე როგორც საქართველოსათვის უცხო ძალად ითვლება დსთ ან ОДКБ. სადავო კანონი საქართველოში მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და მედიის დაფინანსების ნაწილში ევროკავშირს ზუსტად ისევე განიხილავს უცხო ძალად, როგორც დსთ-ს და ОДКБ-ს, რაც არც ასოცირების ხელშეკრულების სულისკვეთებას და არც კონსტიტუციის 78-ე მუხლის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ის, რომ ევროკავშირი არ არის „უცხო“ ორგანიზაცია საქართველოსათვის, ამაზე მეტყველებს 78-ე მუხლის ტექსტიც. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების მიღების და ძალაში შესვლის მომენტისათვის უკვე მოქმედებდა ასოცირების ხელშეკრულება. კონსტიტუციის 78-ე მუხლი საუბრობს, ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს „სრულ ინტეგრაციაზე.“ ტერმინი „სრულის“ გამოყენება იმაზე მიგვითითებს, რომ ევროპის კავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი დაწყებულია და ასოცირების ხელშეკრულება ამ ინტეგრაციის ერთ-ერთი ეტაპია (ისევე როგორც ვიზა ლიბერალიზაცია, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმება, აღმოსავლეთის პარტნიორობა). მართალია, საქართველო ჯერ კიდევ „სრულად“ არ გაწევრიანებულია ევროკავშირში, თუმცა კონსტიტუციის შემქმნელები თანხმდებიან იმაზე, რომ ეს პროცესი დაწყებულია. გაწევრიანების პროცესი არის დროში გაწელილი და არა ერთჯერადი აქტი. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. საქართველო ევროკავშირში ნაწილობრივ ინტეგრირებულია თუნდაც ასოცირების ხელშეკრულების ძალით, ამის გამო, ევროკავშირი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს „უცხოდ.“

მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი - უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების შემადგენელ სუბიექტს, „ბ“ ქვეპუნქტი - უცხოელ ფიზიკურ პირს, „გ“ ქვეპუნქტი - სხვა ქვეყნის იურიდიულ პირს, ხოლო „დ“ ქვეპუნქტი -უცხო ქვეყნის სამართლის საფუძველზე ან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციებს მიიჩნევს უცხო ძალად, თუნდაც მაშინ, როცა ეს ჩამოთვლილი სუბიექტები, ასოცირების ხელშეკრულების 386-ე მუხლის საფუძველზე, ევროკავშირთან ერთად აფინანსებდნენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ასოცირების ხელშეკრულების მიზნების რეალიზაციისათვის. აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს, რომ გასაჩირებული კანონის სულისკვეთება ეწინააღმდეგება ასოცირების ხელშეკრულებას და საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უცხო ძალად გაეროს და ევროპის საბჭოს მიჩნევა, ვინაიდან საქართველო აღნიშნული ორგანიზაციების სრულფასოვანი წევრია. სადავო კანონთან დაკავშირებით OSCE/ODIHR დასკვნაში აღნიშნულია: „ტერმინი „უცხოური ძალა,“ ამ სიტყვის ფართო გაგებით, მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციასაც. მაგალითად, ორგანიზაცია, რომელიც დაფინანსებას იღებს გაეროსაგან დახმარებასა და

[52] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად, ამ კანონით კვალიფიცირდება, როგორც უცხოური გავლენის ორგანიზაცია. გაერთიანების დაფინანსებასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის ანგარიშში აღნიშნულია: საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებით, სახელმწიფო გამოხატავს ნებას, რომ იზიარებს ამ ორგანიზაციის ღირებულებებსა და მიზნებს, წევრი სახელმწიფო ასევე მონაწილეობს ამ ორგანიზაციის სტრატეგიისა და ქმედებების ფორმირებაში, მათ შორის შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. ამგვარი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წევრ სახელმწიფოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის დაფინანსების გამოყოფა არ უნდა იქნეს მიჩნეული, „უცხოური ძალის“ ინტერესების გატარებად.“[53]

ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებული ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე, ხდება ევროკავშირის მიერ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, როგორც ცალკე, ისე სხვა დონორებთან, მათ შორის გაეროსთან და ევროპის საბჭოსთან ერთად. ეს არის ის ორგანიზაციები, რომლის წევრიც, საქართველოს სახელმწიფო თავად არის. საქართველოს ხელისუფლება მონაწილეობას იღებს გაეროს და ევროპის საბჭოში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. შესაბამისად, საქართველომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიჩნიოს არც ერთი, არც მეორე ორგანიზაცია უცხოურ ძალად, მით უმეტეს მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, ეს ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირთან ერთად, წილობრივ მონაწილეობას იღებს ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციაში, ადამიანის უფლებების დაცვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაცვაში (ასოცირების შეთანხმების 149-ე მუხლი), რაც საბოლოოდ ემსახურება საქართველოს სრულად ინტეგრაციას ევროკავშირში კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიზნებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამგვარი დაფინანსება თავად საქართველოს მიერ არის ნებადართული, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით და რატიფიკაციით.

5. ასოცირების ხელშეკრულებით და მე-9 ნაბიჯით მედიის წინაშე ნაკისრი ვალდებულების დარღვევა

სადავო კანონით, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელად ასევე ცხადდება ინტერნეტ და სამაუწყებლო მედია (ტელევიზია და რადიო). კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად ჩაითვლება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა. იგივე იარლიყი ეკვრება ინტერნეტ მედიას, კერძოდ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელია იურიდიული პირი, რომელიც სხვებთან ერთად ან დამოუკიდებლად ფლობს ან იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რომელიც ვრცელდება ინტერნეტდომენის ან

[53] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights URGENT OPINION ON THE LAW OF GEORGIA “ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE Warsaw, 30 May 2024 Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 paragraph 50 page 21

ინტერნეტჰოსტინგის საშუალებით, თუ ამ იურიდიული პირის წლიური არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური ძალიდან მიღებული დაფინანსებაა.

ასოცირების ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აუდიო-ვიზუალურ მედიას, რაც შეიძლება იყოს როგორც მაუწყებელი, ასევე ინტერნეტ-მედია. ასოცირების შეთანხმების 364-ე მუხლის თანახმად, მხარეები ხელს უწყობენ თანამშრომლობას აუდიოვიზუალურ სფეროში. თანამშრომლობის შედეგად უნდა გაძლიერდეს აუდიო-ვიზუალური ინდუსტრია როგორც ევროკავშირში, ისე საქართველოში, განსაკუთრებით კი პროფესიონალების ტრენინგებით, ინფორმაციის გაცვლით, კინოსა და ტელევიზიაში საერთო წარმოების წახალისების გზით. [54]

ასოცირების შეთანხმების 365-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მხარეებმა უნდა გამართონ რეგულარული დიალოგი აუდიო-ვიზუალური მედია პოლიტიკასთან და ამ სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რათა გაძლიერდეს მედიის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმი, ევროკავშირის მედიასთან კავშირი, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, ისევე როგორც დაცული უნდა იყოს ევროპის საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტები და კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა მოიცავს, მათ შორის ჟურნალისტების და მედია პროფესიონალების ტრენინგს. [55]

ასოცირების შეთანხმების 366-ე მუხლით მხარეები კონცენტრირებულნი არიან შემდეგ სფეროებში თანამშრომელებზე: ა) აუდიოვიზუალური და მედიის პოლიტიკაზე დიალოგთან დაკავშირებით; ბ) ისეთ საერთაშორისო ფორუმებზე მონაწილეობის მიღებაზე, როგორიცაა იუნესკო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; გ) აუდიოვიზუალურ და მედია სფეროში თანამშრომლობაზე, კინოს სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით.[56] ასოცირების შეთანხმების 367-ე მუხლის თანახმად, საქართველომ თავისი კანონმდებლობა უნდა დაუახლოვოს ევროკავშირის აქტებს და შეთანხმების XXXIII დანართში მითითებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, ამ დანართში მითითებული წესის დაცვით.[57]

ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ ევროკავშირს, უფლება მისცა ქართველი ჟურნალისტებისათვის ჩაეტარებინა ტრენინგები, გაეცნო ქართველი ჟურნალისტებისათვის ევროკავშირის

---

[54] [54] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[55] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[56] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

[57] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 24 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

სატელევიზიო და ინტერნეტ მედიის გამოცდილება; მიეახლოვებინა ქართული სამაუწყებლო და ინტერნეტმედია ევროკავშირის მედია სტანდარტებთან. აუდიო-ვიზუალური მედიისათვის ტრენინგის ჩატარების აქტივობები პირდაპირ არის ჩაწერილი ასოცირების ხელშეკრულებაში. ტრენინგის ჩატარება მოითხოვს გარკვეული ხარჯების გაღებას - ექსპერტის დაქირავებას, მისი საქართველოში ტრანსპორტირების ხარჯების გაწევას, ტრენინგის ჩასატარებელი სივრცის დაქირავებას, რეგიონული ჟურნალისტების თბილისში ან საქართველოს სხვა რეგიონში ტრანსპორტირებას, მათი სასტუმროს ხარჯებს, ტრენინგის მასალების ხარჯებს, პროექტის ადმინისტრირებაში ჩართული მაუწყებლის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხარჯების ანაზღაურებას და სხვა. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ეს ფინანსური დახმარება, რაც ქართველი ჟურნალისტებისათვის ტრენინგების ჩატარებასთან არის დაკავშირებული და რომლის მიზანიც დამოუკიდებელი და პროფესიონალური ჟურნალისტიკის განვითარებაა, ექცევა სადავო კანონის ზემოქმედების სფეროში. მაუწყებელი ან ინტერნეტ მედია, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფინანსებას მიიღებს ჟურნალისტებისათვის ტრენინგების ჩასატარებლად, ჩაითვლება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად, სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ ამგვარი დახმარება ტელევიზიის ან ინტერნეტ-მედიის არაკომერციული შემოსავლის 20%-ს აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მედიის კომერციული შემოსავალი რეკლამაა, ხოლო არაკომერციული შემოსავალი - სწორედ დასავლური ფონდების, მათ შორის, ევროკავშირის დაფინანსება, ადვილი შესაძლებელია სადავო ნორმით მოქმედების სფეროში მოხვდეს ნებისმიერი ინტერნეტ-მედია ან ტელევიზია.

ამასთან ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებში ქართული მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობასაც. ფორუმებში მონაწილეობა დაკავშირებულია ასევე ტრანსპორტირების, სასტუმროს, კვების, სასწავლო მასალების ხარჯებთან. ამ დაფინანსების ევროკავშირის მიერ გაღება და მისი ჩარიცხვა რომელიმე ინტერნეტ-მედიის ან მაუწყებლის ანგარიშზე, აქცევს ამ უკანასკნელს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად, თუკი ეს თანხა იქნება მედიის არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტი. მედია საშუალება, სადავო ნორმის მიზნებისათვის, ჩაითვლება უცხოური გავლენის ინტერესების გამტარებლად, დაექვემდებარება სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციას, მის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას, ყოველწლიურად დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას, იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მონიტორინგს, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის გამოთხოვას, ხოლო კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში - ჯარიმებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ ტერმინზე - უცხოური გავლენის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციაზე. ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ინტერნეტ და სამაუწყებლო მედიამ, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესასრულებლად გაიღო ძალისხმევა. მასტიგმატიზირებელი სახელდება, ვალდებულებები და მაღალი ჯარიმები აიძულებს მედია ორგანიზაციებს, უარი თქვან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციაში მონაწილეობაზე, ამით კი ფერხდება კონსტიტუციის 78-ე მუხლით ევროპის კავშირში სრული ინტეგრაციის ვალდებულების შესრულება. კონსტიტუციის 78-ე მუხლის დარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ისეთ კონსტიტუციურ ორგანოს, როგორიც პარლამენტია,

რომელმაც მიიღო სადავო კანონი, სადაც გამოყენებული ტერმინი და მედიისათვის გაწერილი ვალდებულებები ხელს უშლის საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას. კანონი ადგენს მედიისათვის მსუსხავ ეფექტის - კანონით დაკისრებული ვალდებულებების თავიდან ასაცილებლად - უარი თქვას ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრენინგებში და საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობაზე და მათ ძირითად საქმიანობაზე - საზოგადოების ინფორმირებაზე. აღნიშნულ პირობებში ვერ სრულდება ასოცირების ხელშეკრულება და ირღვევა კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

კონსტიტუციის 78-ე მუხლით გაწერილ მიზანთან - ევროკავშირთან ინტეგრაციასთან - ერთად, სადავო კანონი აზიანებს კინოწარმოებასაც. სადავო ნორმები ეხება სატელევიზიო მედიას. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირის (არა მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციის, არამედ ევროკავშირში დაფუძნებული კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების) თანამონაწილეობით ქართული კინოწარმოებას. როგორც ზემოთ ვთქვით, ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ქართული კინო და სატელევიზიო პროდუქტის შესაქმნელად ევროკავშირის თანამონაწილეობას, როგორც ფულით, ისე სხვა მატერიალური რესურსების გადაცემის გზით, რაც კინოწარმოებისთვის არის აუცილებელი. კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის საფუძველზე, რაც ასევე სადავოდ არის ქცეული, არაკომერციული შემოსავლის 20% პროცენტი იანგარიშება, არა მხოლოდ ფულით, არამედ ნებისმიერი მატერიალური სიკეთით, მათ შორის ფილმის გადასაღებად სპეციალური ძვირადღირებული ტექნიკითაც. სადავო კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-3 პუნქტით ევროკავშირის ან ინდივიდუალური ევროპული ინვესტორის მიერ ფილმის გადასაღებად ტექნიკის ქართული ტელევიზიისათვის გადაცემა, აქცევს ამ ტელევიზიას უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად, თუკი მიღებული ინვენტარის საბაზრო ღირებულება აღემატება ამ ტელევიზიის არაკომერციული შემოსავლის 20%-ს.

სადავო კანონი არ ეხება კინოსტუდიებს, სამაგიეროდ ის ეხება ტელევიზიებს. უდავო და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ტელევიზიები ხშირად კინოსტუდიებისაგან დამოუკიდებლად იღებენ სერიალებს (მაგალითად, ტელეკომპანია „იმედმა“ გადაიღო სერიალი „ცხელი ძაღლი;“ ხოლო ტელეკომპანია „ფორმულა“ იღებს სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“). ამგვარად, სადავო ნორმები ტელევიზიებს ხელს უშლიან არა მარტო იმაში, რომ მოიპოვონ და გაავრცელონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ინფორმაცია, რაც გამოხატვის თავისუფლებით განსაკუთრებით არის დაცული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 6 ივნისის N1/2/1753 გადაწყვეტილება საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-5), იმავდროულად გავლენას ახდენს შემოქმედებით თავისუფლებაზე, კერძოდ ტელევიზიების მიერ, ევროკავშირის ან მისი მოქალაქეების ფინანსური თანამონაწილეობით სატელევიზიო სერიალების წარმოებაზე, რაც უდიდესი გავლენა აქვს ქვეყნის კულტურის განვითარებაზე.

ამგვარად, ირღვევა არა მხოლოდ კონსტიტუციის 78-ე მუხლი, ვინაიდან სადავო კანონი ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციას უშლის ხელს, არამედ კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტიც, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ზრუნავს კულტურის განვითარებაზე. ამ კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების ნაცვლად, ევროკავშირიდან სატელევიზიო ფილმის გადასაღებად

მიღებული დაფინანსების გამო, ტელევიზია შეიძლება მოექცეს დამატებითი რეგისტრაციის, საჯაროობის ტვირთის, ყოველწლიური დეკლარაციის წარდგენის, მონიტორინგის, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების და მაღალი ჯარიმების პირისპირ, რომ აღარაფერი ვთქვათ, მასტიგმატიზირებელ სახელზე - უცხოური ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციაზე. ტელევიზია, რომელიც სერიალების წარმოებით ცდილობს ქართული კულტურის განვითარებას, არის საქართველოს ინტერესების და არა უცხოური ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია. ვინაიდან კულტურის განვითარება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, ტელევიზია, რომელიც თუნდაც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, მოქმედებს საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციით განმტკიცებული ინტერესებით.

სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოური ინტერესების გამტარებლად გამოცხადებულია იურიდიული პირი, რომელიც სხვებთან ან ერთპიროვნულად ფლობს საქართველოში მოქმედ ბეჭდურ მედიას (ჟურნალს ან გაზეთს). განსხვავებით აუდიოვიზუალური მედიისაგან, ასოცირების შეთანხმებაში არ გვხდება დეტალური რეგულაციები ამ ტიპის მედიასთან მიმართებაში. ამის მიუხედავად, ასოცირების ხელშეკრულების მე-3 მუხლი ადგენს ზოგად ჩანაწერს მედიასთან დაკავშირებით. ასოცირების ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში მითითებულია: პოლიტიკური დიალოგის მიზანია დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის მედიის თავისუფლების და უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანების უფლებების დაცვა. ბეჭდური მედიის, ისევე როგორც ზოგადად მედიის უფლებების დაცვა უდავოდ მოიაზრება ამ ჩანაწერში. სადავო კანონი მთლიანად, ისევე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი არ შეესაბამება ბეჭდური მედიის თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს. დამატებით აღსანიშნავია, მე-9 ნაბიჯით საქართველოსათვის დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყოს გამოხატვის თავისუფლება. ეს უკანასკნელი საქართველოსაგან ითხოვს მასტიგმატიზირებელი დასახელებისაგან მედიის დაცვასაც. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა სადავო კანონის მიღებით დაარღვია როგორც მე-9 ნაბიჯი, ისე ასოცირების შეთანხმება, ამის შედეგად კი კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

6. **მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (შემდგომში ლუქსემბურგის სასამართლო) მიდგომა უცხოური დაფინანსების რეესტრის შესახებ კანონმდებლობასთან მიმართებაში.**

როგორც ზემოთ, აღვნიშნეთ, ასოცირების ხელშეკრულების არაერთი ნორმა მოიცავს საქართველოს ვალდებულებას, დაუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის სამართლის მოთხოვნებს. ამ გარემოების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რამდენად მოდის შესაბამისობაში სადავო კანონი ევროკავშირის კანონმდებლობასთან. თუკი სადავო კანონი ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოსათვის დაკისრებული ვალდებულების და მე-9 ნაბიჯის მოთხოვნებთან კავშირში, ეს იმავდროულად გულისხმობს იმას, რომ შეუძლებელი იქნება საქართველოს ევროპის კავშირის ორგანიზაციაში სრული ინტეგრაცია და პარლამენტი დაარღვევს კონსტიტუციის 78 მუხლს სადავო კანონის მიღების გამო.

ევროკავშირის კანონმდებლობის განმარტებას ახდენს ლუქსემბურგის სასამართლო. ამ უკანასკნელმა 2020 წლის 18 ივნისს გადაწყვეტილება მიიღო საქმეში **European Commission v Hungary C-78/18.**[58] ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა უნგრეთის კანონი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფინანსურ დახმარებას იღებდნენ სხვა ქვეყნებიდან (უნგრეთის გარდა, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნიდან, ისე მესამე ქვეყნიდან), აკისრებდა რეგისტრაციის, დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების, უფლებამოსილ ორგანოს წინაშე დეკლარაციის წარდგენის, დაფინანსების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულებას.[59] სამოქალაქო ორგანიზაციას სპეციალურ რეესტრში დარეგისტრირების ვალდებულება წარმოიშვებოდა, თუკი სხვა ქვეყნიდან მიღებული შემოსავალი იყო 14 400 000 უნგრული ფორინტი (41 600 ევრო) ან მეტი.[60] ეს თანხა ორგანიზაციას უნდა გადასცემოდა სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ[61] პირდაპირ ან არაპირდაპირ.[62] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია (უნგრეთში კავშირი და ფონდი) დეკლარაციას წარუდგენდა სასამართლოს, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. სასამართლოს ეს ორგანიზაცია შეჰყავდა არაკომერციული ორგანიზაციების რეესტრში და მონიშნავდა მას, როგორც სხვა ქვეყნიდან დახმარების მიმღებ ორგანიზაციად[63]

ორგანიზაციების დეკლარაციაში უნდა მიეთითებინათ: ორგანიზაციის სახელწოდება, რეგისტრაციის ადგილი და საიდენტიფიკაციო კოდი[64] მიღებული ფულადი დახმარების ოდენობა, სხვა ტიპის ქონების ოდენობა,[65] თითოეული დონორის ვინაობა: თუკი დონორი იყო ფიზიკური პირი, მითითებული უნდა ყოფილიყო მისი სახელი, ქვეყანა და საცხოვრებელი ადგილი. ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში მითითებული უნდა ყოფილიყო მისი საფირმო სახელწოდება და რეგისტრაციის ადგილი.[66] ყოველი თვის 15 რიცხვში სასამართლოები სამოქალაქო ინფორმაციის კონტროლზე უფლებამოსილ სამინისტროს წარუდგენდნენ სხვა ქვეყნიდან დახმარების მიმღები ორგანიზაციების და მათ მიერ მიღებული უცხოური დახმარების თაობაზე ინფორმაციას. სამინისტრო ამ ინფორმაციას ავრცელებდა ელექტრონულ პლათფორმაზე, რათა ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის.[67] თუ კავშირი ან ფონდი არ დაემორჩილებოდა ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს, პროკურორის შუამდგომლობით მას დაეკისრებოდა ჯარიმა.[68] ჯარიმის ოდენობა შეადგენდა 10 000-დან 900 000 უნგრულ ფორინტს (30-დან 2 700 ევრო). ჯარიმა

[58] https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=227569&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1077831
[59] European Commission v Hungary C-78/18 §1
[60] European Commission v Hungary C-78/18 §14
[61] European Commission v Hungary C-78/18 §10
[62] European Commission v Hungary C-78/18 §1
[63] European Commission v Hungary C-78/18 §5
[64] European Commission v Hungary C-78/18 §8
[65] European Commission v Hungary C-78/18 §9
[66] European Commission v Hungary C-78/18 §9
[67] European Commission v Hungary C-78/18 §5
[68] European Commission v Hungary C-78/18 §6

შეიძლებოდა დაკისრებოდა როგორც თავად კავშირსა და ფონდს, ისე მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.[69]

2017 წლის 7 დეკემბერს ევროპულმა კომისიამ წარადგინა საჩივარი უნგრეთის წინააღმდეგ ლუქსემბურგის სასამართლოში[70] ევროპული კომისია უნგრეთს ადანაშაულებდა ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლის, ადამიანის უფლებათა ქარტიის მე-7, მე-8 და მე-12 მუხლების დარღვევაში.[71] 2018 წლის 2 აგვისტოს საქმეში მხარედ ჩაერთო შვედეთის სამეფო, რომელმაც მხარი დაუჭირა ევროპული კომისიის მიერ წარდგენილ საჩივარს.[72]

5.1. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა

ლუქსემბურგის სასამართლომ აღნიშნულ საქმეში განაცხადა, რომ ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, წევრ ქვეყნებს შორის, ასევე წევრ ქვეყნებსა და მესამე ქვეყნებს შორის კაპიტალის გადაადგილებაზე ყველა შეზღუდვის დაწესება არის აკრძალული.[73] ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, როგორც ხელშეკრულების დებულებიდან არის ნათელი, დარღვევის დადგენისათვის აუცილებელია, კაპიტალის ქვეყნის საზღვრებს შორის მოძრაობის შეზღუდვა.[74] რას ნიშნავს ტერმინი „კაპიტალის მოძრაობა? ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, „კაპიტალის მოძრაობის“ ტერმინი განმარტებული უნდა იქნეს ფართოდ.[75] ლუქსემბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კაპიტალის ბრუნვად ითვლება მემკვიდრეობის მიღება და საჩუქრის ჩუქება, მაშინაც კი როცა ეს პროცესი ხორციელდება რამდენიმე სახელმწიფოს საზღვრებში[76] (მამკვიდრებელი და მემკვიდრე, მჩუქებელი და დასაჩუქრებული სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან). ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, სხვადასხვა სახელმწიფოს შორის კაპიტალის ბრუნვა ასევე გულისხმობს ევროკავშირის არარეზიდენტი პირების მიერ ევროკავშირის რეზიდენტებზე სესხის, კრედიტის, თავდებობის ან სხვა გარანტიის გაცემას.[77]

ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, გასაჩივრებული უნგრული კანონი ზღუდავდა ევროკავშირის შიგნით ან გარედან ევროკავშირში კაპიტალის თავისუფალ ბრუნვას, ვინაიდან აწესებდა რეგულაციას სხვა ქვეყნიდან უნგრეთში მოქმედი გაერთიანებისათვის 41 600 ევროს ოდენობის ფულის ან სხვა მატერიალური სიკეთის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაცემის შემთხვევაში. უნგრული კანონი ეხებოდა კაპიტალის მოძრაობას რამდენიმე ქვეყნის საზღვრებში. უნგრული კანონი ეხებოდა ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის ფულად თანხას ან სხვაგვარ ქონებას, მათ შორის, საჩუქარს, შემოწირულობას,

[69] European Commission v Hungary C-78/18 §13
[70] European Commission v Hungary C-78/18 §21
[71] European Commission v Hungary C-78/18 §15
[72] European Commission v Hungary C-78/18 §22
[73] European Commission v Hungary C-78/18 §45
[74] European Commission v Hungary C-78/18 §46
[75] European Commission v Hungary C-78/18 §47
[76] European Commission v Hungary C-78/18 §49
[77] European Commission v Hungary C-78/18 §50

მემკვიდრეობას, სესხს, კრედიტს, გარანტიას, თავდებობას, რაც გაცემული იყო ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.[78]

კაპიტალის თავისუფლად მოძრაობის შესაძლებლობა გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების 138-ე მუხლითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული კანონი უნგრეთის კანონმდებლობის მსგავსად, ითვალისწინებს რეგულაციებს, რაც დაკავშირებულია განსაზღვრული რაოდენობის უცხოური დაფინანსების საქართველოს არასამთავრობო სექტორზე გადაცემის შემთხვევაში, სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციის (სადავო კანონის მე-4 მუხლი), ორგანიზაციის დაფინანსების შესახებ ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას (სადავო კანონის მე-5 მუხლი), ყოველწლიური დეკლარაციის წარდგენას (სადავო კანონის მე-6 მუხლი). თუკი უნგრეთის კანონმდებლობით, უნდა მომხდარიყო კავშირისა და ფონდის სახელდება, როგორც „სხვა ქვეყნიდან ფინანსური დახმარების მიმღები ორგანიზაცია,“ [79] გასაჩივრებული კანონით ასეთი ორგანიზაცია სახელდებულია, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ (სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). უნგრული კანონი ეხებოდა სხვა ქვეყანაში მყოფი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სამოქალაქო საზოგადოების პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებას. არაპირდაპირი დაფინანსების საკითხი, სადავო კანონით დადგენილი ვალდებულების წარმოშობისათვის, გათვალისწინებულია სადავო კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ: ა) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო; ბ) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;“ გასაჩივრებული კანონი უნგრულ კანონზე შორს მიდის და მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად აცხადებს ყველანაირ დაფინანსებას, რომლის წარმოშობის წყაროც უცნობია. ამგვარი რეგულაცია თვით უნგრული კანონის შემთხვევაშიც არ ყოფილა დაწესებული. უნგრული კანონი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ითვალისწინებდა ჯარიმას და მისი ოდენობა იწყებოდა 30 ევროთი. ამ მხრივ, გაცილებით მკაცრია უნგრული კანონის ქართული ანალოგი, კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ყველაზე მსუბუქი ჯარიმის ოდენობა არის 5000 ლარი. უნგრული კანონისაგან განსხვავებით, ქართულ კანონში არ გვხდება ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რაც ქმედების ინდივიდუალიზაციას გახდიდა შესაძლებელს.

ლუქსემბურგის სასამართლოს განმარტებით, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას ზღუდავდა უნგრული კანონით დაწესებული ღონისძიებები: უფლებამოსილ სასამართლოებში „სხვა ქვეყნიდან ფინანსური დახმარების მიმღებ ორგანიზაციად” რეგისტრაციის ვალდებულება, სასამართლოსათვის სხვა ქვეყნიდან მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, სხვა ქვეყნიდან მიღებული დაფინანსების შესახებ ინფორმაციის და უცხოელი დონორების შესახებ ინფორმაციის სპეციალურ რეესტრში

[78] European Commission v Hungary C-78/18 §51
[79] European Commission v Hungary C-78/18 §5

რეგისტრაცია,[80] ამ ინფორმაციის სპეციალურ საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნება.[81] ასევე ლუქსემბურგის სასამართლომ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვად მიიჩნია ჯარიმები (30 ევროდან 2700 ევრომდე) კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის. [82]

ამ გარემოების გათვალისწინებით, სადავო კანონი ასოცირების ხელშეკრულების 138-ე მუხლით გათვალიწინებულ ევროკავშირიდან საქართველოში კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობას ზღუდავს. კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასთან ერთად, სადავო კანონის მე-2 მუხლით დადგენილ სტიგმა, კანონის მე-4 მუხლით დადგენილი რეგისტრაციის, მე-5 მუხლით ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების, მე-6 მუხლით ყოველწლიური დეკლარაციის წარდგენის, მე-9 მუხლის პირველი-მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმები ზღუდავენ მე-9 ნაბიჯით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თავისუფალი ოპერირების, ასევე ასოცირების ხელშეკრულებით სამოქალაქო საზოგადოების და მედიისათვის გათვალისწინებული აქტივობის შესრულების შესაძლებლობას, რაზეც წინა თავებში იყო საუბარი. კაპიტალის თავისუფალ ბრუნვას, ასოცირების ხელშეკრულებით სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისათვის გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას ასევე ზღუდავს სადავო კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მონიტორინგი, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, მე-7 მუხლის პირველი პუნქტით, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით, ნებისმიერი პირისაგან ნებისმიერი საიდუმლო, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის მოთხოვნის ვალდებულებაც. მონიტორინგი, განსაკუთრებული კატეგორიის მოთხოვნის შესაძლებლობა, არ იყო უნგრული კანონმდებლობით გათვალისწინებული, თუმცა ეს ორი მექანიზმი, გაცილებით მძიმეა იმ ღონისძიებებთან შედარებით, რის გამოც ლუქსემბურგის სასამართლომ უნგრეთის წინაამდეგ შეტანილ საჩივარზე ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევა დაადგინა.

ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, უნგრული კანონი ადგენდა სხვადასხვა ვალდებულებებს, რომლის შინაარსი და ერთობლივი შედეგი, იყო იმგვარი, რომ ზღუდავდა კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებას. ეს ღონისძიება გავლენას ახდენდა უნგრეთში დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე, რომლებიც იყვნენ კაპიტალის მოძრაობის ბენეფიციარები. ამასთან კაპიტალის შეზღუდვა ასევე ეხებოდათ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ევროკავშირის სხვა ან მესამე ქვეყანაში და კაპიტალს აგზავნიდნენ უნგრეთში. შემზღუდველი ღონისძიება დონორებზე ვრცელდებოდა იმის გამო, რომ კაპიტალის მოძრაობის უკან იდგნენ.[83] ჩვენს შემთხვევაში, გასაჩივრებული კანონი გავლენას ახდენს როგორც სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე, და მედიაზე, ასევე მე-3 მუხლით განსაზღვრულ დონორზე, რომელიც ევროკავშირის ქვეყნიდან, ასოცირების ხელშეკრულების 138-ე მუხლით, აგზავნის კაპიტალს, ან ამავე შეთანხმების თანახმად, აფინანსებენ ევროპული ფასეულობების შესახებ პროექტებს.

---

[80] European Commission v Hungary C-78/18 §54
[81] European Commission v Hungary C-78/18 §55
[82] European Commission v Hungary C-78/18 §56
[83] European Commission v Hungary C-78/18 §57

ლუქსემბურგის სასამართლომ განმარტა, რაში გამოიხატებოდა ჩარევა (როგორც კაპიტალის თავისუფალ ბრუნვაში, ისე გაერთიანების თავისუფლებაში): „კანონი ახდენს „სხვა ქვეყნიდან ფინანსური დახმარების მიმღები ორგანიზაციების“ სახელდებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, კანონი ითხოვს ორგანიზაციებისაგან რეგისტრაციას და საზოგადოების წინაშე სისტემატურ ანგარიშვალდებულებას, რომლის მიმართ დაუმორჩილებლობა იწვევს სანქციებს. ეს კანონი ახდენს არასამეწარმეო ორგანიზაციების სტიგმატიზაციას, ქმნის ამ ორგანიზაციების მიმართ უნდობლობის გარემოს, ხელს უშლის ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში და მესამე ქვეყნებში მყოფ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გაგზავნაში.“[84]

ეს არგუმენტაცია წარმატებით მიესადაგება სადავო კანონს. თუკი ლუქსემბურგის სასამართლომ მასტიგმატიზირებლად ჩათვალა დასახელება „სხვა ქვეყნიდან დახმარების მიმღები ორგანიზაცია“ ამასთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია სახელწოდება: „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია.“ სადავო კანონი აიძულებს ევროკავშირს, ევროკავშირში მაცხოვრებელ ფიზიკურ პირს, იქ დაფუძნებულ იურიდიულ პირს თუ ორგანიზაციას ხელი აიღოს საქართველოში ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობის დაფინანსებაზე.

ლუქსემბურგის სასამართლომ ახსნა ის, თუ რა მსუსხავ ეფექტს ქმნიდა კანონი უცხოელი დონორებისათვის, დაეფინანსებინა უნგრული არასამთავრობო ორგანიზაციები. სასამართლოს თქმით, განსახილველი დებულებები სამიზნეში იღებდნენ სუბიექტებს, რომლებიც ფინანსურ დახმარებას უწევენ არასამთავრობო ორგანიზაციებს. უნგრული კანონი ითვალისწინებდა სხვა ქვეყანაში მყოფ დონორზე და მის მიერ გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის მუდმივ გამოქვეყნებას. ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, ამ ღონისძიებას ჰქონდა მსუსხავი ეფექტი დონორებზე, რაც აიძულებს მათ, თავი შეეკავებინათ ამგვარი დახმარების გაწევისაგან.[85]

ამასთან ლუქსემბურგის სასამართლომ არ გაიზიარა უნგრეთის ხელისუფლების მტკიცება, რომლის მიხედვითაც, უცხოელი დონორი იყო საჯარო ფიგურა, რომელსაც ეკისრებოდა თმენის ვალდებულება მისი ვინაობის სისტემატური გასაჯაროების გამო.[86] ამის საპასუხოდ, ლუქსემბურგის სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ფიგურად ვერ ჩაითვლება პირი, რომელიც არ ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას, იმის მიუხედავად, რომ ეს პირი შესაძლოა საზოგადოებისთვის ცნობილი იყოს.[87] ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით: „ის გარემოება, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ცხოვრობენ ან რეგისტრაციის ადგილი აქვთ სხვა წევრ ქვეყანაში ან მესამე სახელმწიფოში, გასცემენ კანონით გათვალისწინებული რაოდენობის დახმარებას სამოქალაქო საზოგადოებაზე, ეს ქმედება არ აქცევთ დონორებს საჯარო ფიგურად. ზოგიერთი ეს ორგანიზაცია და პირი შესაძლოა მონაწილეობდეს უნგრეთის

[84] European Commission v Hungary C-78/18 §58
[85] European Commission v Hungary C-78/18 §60
[86] European Commission v Hungary C-78/18 §129
[87] European Commission v Hungary C-78/18 §130

საჯარო ცხოვრებაში, თუმცა ფაქტია, რომ ფინანსური დახმარების გაცემა არ გულისხმობს პოლიტიკური როლის შესრულებას.[88]

ეს პრობლემა გვხდება სადავო კანონის შემთხვევაშიც. სადავო კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის წარდგენილ დეკლარაციაში მიეთითება ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ. მოცემული ინფორმაცია, სადავო კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ქვეყნდება სათანადო ვებ-გვერდზე სააგენტოს მიერ. დაფინანსების წყარო სხვა არაფერია თუ არა უცხოელი დონორი, რომლის მსუსხავ ეფექტზეც ისაუბრა ლუქსემბურგის სასამართლომ უნგრეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარში და ეს არგუმენტები თანაბრად ამტკიცებს დასახელებული ნორმების არაკონსტიტუციურობას. ამგვარი მსუსხავი ეფექტი უარყოფით გავლენას მოახდენს ასოცირების ხელშეკრულების ზემოთ მითითებული აქტივობების შესრულებაზე, რაც დააზიანებს ამ შეთანხმების შესრულებას და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას. ამით კი პარლამენტი არღვევს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

აქედან გამომდინარე, ყველა გარემოების გათვალისწინებით, კანონით, სხვა ქვეყნიდან დაფინანსების მიმღები ორგანიზაციებისათვის დაკისრებული რეგისტრაციის, დეკლარაციის შევსების ან დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება, რომლის დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებულია სანქცია, წარმოადგენს კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას.[89] აქედან გამომდინარე, ვინაიდან ცალსახაა, რომ გასაჩივრებული კანონით დადგენილი ვალდებულებები წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სამართალთან, მისი მიღება ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციას. პირიქით, ვინაიდან ცნობილია, რომ გასაჩივრებული კანონით არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მედიებსა და ფიზიკურ პირებზე დაწესებული ვალდებულებები არსებითად ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრეცედენტულ სამართალს, გასაჩივრებული კანონი წარმოადგენს დაბრკოლებას საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, რის გამოც მისი მიღებით ცალსახად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები. ამას ასევე ადასტურებს ზემოთ განხილული ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გაკეთებული განცხადებები თუ გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც კანონის მიღებამ გამოიწვია ასოცირების პროცესის შეჩერება, ასევე საქართველოსთვის გრანტის სახით გამოყოფილი დახმარებების შეჩერება.

5.2.გაერთიანების თავისუფლება

ლუქსემბურგის სასამართლოს განმარტებით, გაერთიანების თავისუფლება დაცულია ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-12 მუხლით. ეს დებულება ყველას ანიჭებს, ნებისმიერ სფეროში,

[88] European Commission v Hungary C-78/18 §131
[89] European Commission v Hungary C-78/18 §65

განსაკუთრებით კი, პოლიტიკურ, პროფკავშირულ და სამოქალაქო საკითხებზე გაერთიანების თავისუფლებას.[90] ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, ევროკავშირის ქარტიის მე-12 მუხლი სრულად შეესაბამება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებას: უნდა მივიჩნიოთ, რომ ქარტიის მე-12 მუხლის შინაარსი და ფარგლები ისეთივეა, როგორიც კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან. [91] ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ეს მონაკვეთი ჩვენთვის იმ კუთხით არის საინტერესო, რომ მართალია საქართველო არ არის ევროკავშირის ქარტიის მონაწილე, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სავალდებულოა ჩვენი ქვეყნისათვის. იმის გამო, რომ ქარტიით გარანტირებული უფლებების შინაარსი ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების იდენტურია, ქარტიის სტანდარტების გათვალისწინება საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მე-9 ნაბიჯით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების უფლება უნდა განიმარტოს როგორც კონვენციის მე-11, ისე ქარტიის მე-12 მუხლის ჭრილში, რაც, იმავდროულად ერთი და იმავე შინაარსისაა.

გაერთიანების თავისუფლება უნივერსალური უფლებაა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ამ უფლებას ერთნაირი შინაარსი გააჩნია ნებისმიერი ქვეყნის თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ. უფლებები უნივერსალური ხასიათის ვერ იქნება, მას განსხვავებული შინაარსი რომ ჰქონდეს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, ადამიანის უფლებები არის წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებები, რაც, პირველ რიგში, მათ უნივერსალურ ხასიათში გამოიხატება. შესაბამისად, გაერთიანების თავისუფლებას ერთი და იმავე შინაარსი არა მხოლოდ ორი სხვადასხვა ორგანიზაციის - ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს - ფარგლებში აქვს (განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა იმავდროულად ევროპის საბჭოს წევრიც არის, გარდა გაერთიანებული სამეფოსი), არამედ სხვა ეროვნულ თუ რეგიონულ იურისდიქციებშიც. შესაბამისად, მე-9 ნაბიჯში აღნიშნული სამოქალაქო საზოგადოების თავისუფალი ოპერირების შესაძლებლობა უნდა განიმარტოს ისე, როგორც ამ რეკომენდაციის გამცემს ევროკავშირს ესმის - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 და ქარტიის მე-12 მუხლის საფუძველზე. იგივე შინაარსი გააჩნია გაერთიანების თავისუფლებას კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით.

ლუქსემბურგის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო უთითებს რა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე აცხადებს: „პირველი, გაერთიანების თავისუფლების უფლება წარმოადგენს არსებით საფუძველს დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოებისათვის, ვინაიდან ეს უფლება მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას საერთო ინტერესების სფეროში იმოქმედონ კოლექტიურად და ამ გზით თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივი ცხოვრების სათანადო ფუნქციონირებაში.[92] მეორე, ეს უფლება არა მხოლოდ მოიცავს გაერთიანების

[90] European Commission v Hungary C-78/18 §110

[91] European Commission v Hungary C-78/18 §111

[92] European Commission v Hungary C-78/18 §112

შექმნისა და გაუქმების შესაძლებლობას, არამედ იმასაც იცავს, რომ გაერთიანებამ თავისუფლად განახორციელოს თავისი საქმიანობა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ გაერთიანებას უნდა ჰქონდეს თავისი საქმიანობის და ოპერირების შესაძლებლობა სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ჩარევის გარეშე. [93] ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ირკვევა, რომ გაერთიანების თავისუფლება ირღვევა მაშინ, როცა სათანადო გამართლების გარეშე, კანონმდებლობა მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის გაერთიანებას მოქმედებასა და საქმიანობაში, რეგისტრაციასთან დაკავშირებით ხდება გამკაცრებული მოთხოვნების დაწესება, სახელმწიფო **გაერთიანებას უზღუდავს დაფინანსების მიღების შესაძლებლობას**, **გაერთიანებას ეკისრება ისეთი დეკლარაციის გამოქვეყნების და ისეთი ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება, რაც მის წინააღმდეგ ნეგატიური საზოგადოებრივი იმიჯის შექმნის ხელშემწყობი შეიძლება იყოს**. **ამასთან გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევად ჩაითვლება სანქციების დაწესება.** დასახელებული ქმედებები იჭრება ქარტიის მე-12 მუხლით გაერთიანების თავისუფლებით დაცულ სფეროში.[94] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ირკვევა, რომ გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა ხორციელდება, მაშინაც, როცა საზოგადოებრივი გაერთიანების დასახასიათებლად შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ხდება. (*Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany*, no. 58911/00, § 84, 6 November 2008; ECODEFENCE AND OTHERS v. RUSSIA Applications nos. 9988/13 and 60 others §81).

ამ სტანდარტების გათვალისწინებით, ლუქსემბურგის სასამართლომ უნგრეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნგრული კანონის დებულებებით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ დეკლარაციის შევსების და უცხოური დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების შესრულება არის იმგვარი, რომ ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობას, მიიღონ ფინანსური დახმარება სხვა წევრი ქვეყნებისაგან და მესამე სახელმწიფოსაგან. ამ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობისათვის დაწესებულ სანქციას აქვს მსუსხავი ეფექტი.[95] კანონი ითხოვს არაკომერციული იურიდიული პირების მიერ საკუთარი თავის მოხსენიებას „ორგანიზაციად, რომელიც ფინანსურ დახმარებას იღებს სხვა ქვეყნისაგან.“ როგორც უნგრეთიც აღიარებს, უცხოური დაფინანსების გამო, ეს ორგანიზაციები მიჩნეულნი არიან უცხოური ინტერესების გამტარებლად. უნგრეთის ხელისუფლების მტკიცებით, ამ ორგანიზაციების მეშვეობით, უცხოელი დამფინანსებლები უნგრეთის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი ინტერესების ნაცვლად საკუთარი ინტერესებს ატარებდნენ.[96]

ლუქსემბურგის სასამართლოს თქმით, კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას, აქვს მსუსხავი ეფექტი სხვა წევრ ქვეყანაში ან მესამე სახელმწიფოში მცხოვრებ/ბაზირებულ დონორზე, დააფინანსოს სადავო კანონის ქვეშ მოქცეული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. ამით, კი ხელი ეშლება ამ ორგანიზაციების საქმიანობას და მათ მიერ დასახული საწესდებო იდეალური მიზნების მიღწევას. კანონით გათვალისწინებული ვალდებულება ისეთი ხასიათისაა, რომ ქმნის საყოველთაო უნდობლობის

[93] European Commission v Hungary C-78/18 §113
[94] European Commission v Hungary C-78/18 §114
[95] European Commission v Hungary C-78/18 §116
[96] European Commission v Hungary C-78/18 §117

გარემოს კავშირისა და ფონდის მიმართ უნგრეთში, ახდენს რა ამ ორგანიზაციების სტიგმატიზაციას.[97] ამ გარემოების გათვალისწინებით, უნგრული კანონის შესაბამისი დებულებები ზღუდავს ქარტიის მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებას.[98]

იგივე ლოგიკით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დასახასიათებლად, რომელის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის, სხვა სახელმწიფოს ერთეულის, საერთაშორისო ორგანიზაციის თუ სხვა სახელმწიფოში დაფუძნებული იურიდიული პირისაგან მიღებული დაფინანსება აღემატება შემოსავლის 20%, იყენებს ისეთ შეურაცხმყოფელ ტერმინს, როგორიცაა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი," ზღუდავს გაერთიანების თავისუფლებას. გარდა ამისა, გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვად ითვლება:

1.არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის განცხადებით დამამცირებელ რეესტრში დარეგისტრირების და ფინანსური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება

2. ყოველწლიურად ნებისმიერი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის წარდგენა ამ დაფინანსების წყაროს მითითებით;

3. ამ ინფორმაციის ყველასათვის ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე განთავსება;

4. იუსტიციის სამინიტროს მოთხოვნით, ნებისმიერი საიდუმლო (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) და განსაკუთრებული კატეგორიის პირადი მონაცემის წარდგენის ვალდებულება;

5. იუსტიციის სამინისტროს მხრიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მონიტორინგი;

6. ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის მაღალი ჯარიმების დაკისრება;

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) კანონის ამოქმედებამდე იურიდიული პირის მიერ 2023 წლის და 2024 წლის 3 ივნისამდე მიღებული დაფინანსების შესახებ დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება.

ლუქსემბურგის სასამართლომ ნაკლებად შეურაცხმყოფელი დასახელება „სხვა ქვეყნიდან დაფინანსებული ორგანიზაცია" მიიჩნია მასტიგმატიზირებლად და გაერთიანების თავისუფლების შემზღუდვლად. ასევე უფრო ნაკლები მასშტაბის ვალდებულებები - რეგისტრაცია, დაფინანსების და დონორების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება და სანქციები - ჩათვალა გაერთიანების თავისუფლების შემზღუდვლად. აქედან გამომდინარე, ყველა ის შემზღუდველი ღონისძიება, რაც გაწერილია სადავო კანონში, ერევა კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ გაერთიანების თავისუფლებაში.

ამასთან, სადავო კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას." აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნგრეთიც, ლუქსემბურგის სასამართლოს წინაშე, ამტკიცებდა, რომ მისი კანონი არ ზღუდავდა საზოგადოებრივი გაერთიანების თავისუფლებას, მეტიც, უნგრეთი ამტკიცებდა, რომ უცხოური დაფინანსების მიღება არ იყო სამართლებრივად გასაკიცხი

[97] European Commission v Hungary C-78/18 §118

[98] European Commission v Hungary C-78/18 §119

ქმედება.[99] თუმცა რეგისტრაციის, დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულების, მასტიგმატიზირებელი ტერმინის გამოყენების, ჯარიმების გამო, უნგრეთის ეს არგუმენტი უარყო ლუქსემბურგის სასამართლომ. იგივე შეიძლება ითქვას სადავო კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით სახელმწიფოს მხრიდან უცხოური დაფინანსების მქონე ორგანიზაციის საქმიანობაში პირდაპირ ჩაურევლობაზეც. გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიხატება მხოლოდ იურიდიული დახმარების მქონე ორგანიზაციისათვის სასამართლოში წარმომადგენლობის აკრძალვაში, სადამკვირვებლო ორგანიზაციისათვის არჩევნების დაკვირვების აკრძალვაში ან ფსიქოლოგიური სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის პაციენტის მიღების აკრძალვაში. ორგანიზაციების სტიგმატიზაცია, დამატებითი რეგისტრაცია, დამფინანსებლის, ბენეფიციარების თუ წევრების ვინაობის გამჟღავნების ვალდებულების დაკისრება, მონიტორინგი, პერსონალურ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება და მაღალი ჯარიმების დაკისრება, ასევე საკმარისია გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევის დასადგენად იმ პირობებში, როცა ორგანიზაციას აქვს თავისი მისიის გაგრძელების ფორმალური შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, ორგანიზაციის საწესდებო მიზნის მიღწევა შესაძლოა შეუძლებელი გახდეს მასტიგმატიზირებელი სახელწოდების გამო ბენეფიციარებში უნდობლობის დათესვის ან მაღალი ჯარიმების გადასახადის შედეგად საწესდებო მიზნების მისაღწევად საკმარისი ფულადი სახსრების არქონის გამო, ისევე როგორც ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად დაკისრებული მძიმე ტვირთის ტარების მიზეზით, საწესდებო მიზნების მისაღწევად დროის, ფინანსების და ადამიანური რესურსების არქონის გამო.

6. უფლებაში ჩარევის გამართლება

უნგრეთის ხელისუფლებამ თავისი კანონის ლეგიტიმურ მიზნად მიუთითა უცხოური დაფინანსების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამჭვირვალობა. უნგრეთის ხელისუფლება ამ ლეგიტიმურ მიზანს იმით ასაბუთებდა, რომ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ფიზიკური პირი ან უცხო ქვეყანაში მოქმედი იურიდიული პირი უნგრეთში მოქმედი საზოგადოებრივი გაერთიანებისათვის დაფინანსების მიცემის გზით გავლენას მოახდენდა უნგრეთის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც უცხოელი დონორი, მის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციის მეშვეობით. საზოგადოებრივი ინტერესის ნაცვლად გაატარებდა პირად ინტერესს. უნგრეთის მითითებით, ამგვარმა დაფინანსებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, ასევე სამართლებრივი ინსტიტუციების უნარს, იმუშავონ ჩარევისაგან თავისუფალ გარემოში.[100]

უნგრული კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვის გასამართლებლად გამჭვირვალობის ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ გაიზიარა ლუქსემბურგის სასამართლომ. ამ უკანასკნელმა განაცხადა: გაერთიანების ფინანსური გამჭვირვალობის გაზრდის მიზანი ვერ ამართლებს წევრი ქვეყნის იმგვარ კანონმდებლობას, რომელიც ეფუძნება ვარაუდს რომ სხვა წევრ ქვეყანაში ან მესამე ქვეყანაში მცხოვრები ფიზიკური პირის ან ამ ქვეყნებში დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ ფინანსური დახმარების

[99] European Commission v Hungary C-78/18 §108
[100] European Commission v Hungary C-78/18 §83

გაწევა საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და სამართლებრივი ინსტიტუტები ვერ შეძლებენ ჩარევისაგან თავისუფალ გარემოში მუშაობას.[101]

უნგრეთის მსგავსად, საქართველოს ხელისუფლებამ სადავო კანონის დეკლარირებულ მიზნად გამჭვირვალობა დაასახელა, ვინაიდან უცხოურ დაფინანსებას მიიჩნევს საეჭვოდ. ამასთან დაკავშირებით, OSCE/ODHIR-მა სადავო კანონთან დაკავშირებულ დასკვნაში გაიზიარა ლუქსემბურგის სასამართლოს მიდგომა უნგრეთთან მიმართებაში. OSCE/ODHIR-ის თქმით, კანონი უცხოურ და საერთაშორისო შემოსავლის წყაროს ავტომატურად უკავშირებს უცხო ძალების ინტერესების გავლენას. ეს არის თვითნებური, ვინაიდან ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია იღებს დაფინანსებას არაქართული იურიდიული პირისაგან, თავისთავად არ მიუთითებს იმაზე, რომ იმყოფება ამ იურიდიული პირის (ან რომელიმე უცხოური ინტერესის) გავლენის ქვეშ. როგორც ODHIR-ის და ვენეციის კომისიის ერთობლივ დასკვნაშია აღნიშნული, ბოსნია-ჰერცოგოვინის სერბული რესპუბლიკის კანონპროექტთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსების ან სხვა სახის დახმარების მიღება, ცალკე აღებული, არ შეიძლება გახდეს იმგვარი ვარაუდის საფუძველი, რომ დონორი გავლენას ახდენს ან აკონტროლებს დაფინანსების მიმღების საქმიანობას. ამგვარი ვარაუდი არ არის დასაბუთებული.[102] იგივე პოზიციას იზიარებს ვენეციის კომისიაც გასაჩივრებულ კანონის „ლეგიტიმურ მიზანთან“ მიმართებით[103].

ამგვარად, სადავო კანონი ეფუძნება ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ უცხოური დაფინანსების შედეგად ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოური გავლენის ქვეშ ექცევიან და ამისათვის, თითქოს აუცილებელია მათი დაფინანსების გამჭვირვალობა. როგორც აღვნიშნეთ, დაფინანსება არ უდრის სამოქალაქო ორგანიზაციაზე დონორის სრულ კონტროლს. უცხოური დაფინანსების მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაცია ინარჩუნებენ სრულ ორგანიზაციულ შინაარსობრივ და საოპერაციო დამოუკიდებლობას დონორისაგან. შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზნად ვერ გამოდგება სტერეოტიპული ვარაუდი, რომლის მიხედვითაც უცხოური დაფინანსება ნიშნავს უცხოურ კონტროლს ორგანიზაციის საქმიანობაზე. ასეთ პირობებში სახელმწიფო ვერ დაასახელებს გამჭვირვალეობას სადავო კანონით დაწესებული შეზღუდვების გასამართლებლად. ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებისგან გადახვევას საფუძვლად ვერ დაედება დაუსაბუთებელი ვარაუდები არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური ძალების მიერ მართვასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა მოხდეს, სახელმწიფოს მოეთხოვება რეალურ საფრთხეზე და არა დაუსაბუთებელ ვარაუდებზე მითითება. ლუქსემბურგის სამართლოს თქმით, უნგრეთმა თავისი კანონი დააფუძნა არა რეალური საფრთხის არსებობის ფაქტს, არამედ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ სხვა წევრი ქვეყნიდან და მესამე ქვეყნიდან მიღებულ დაფინანსებას განურჩევლად

[101] European Commission v Hungary C-78/18 §83

[102] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights URGENT OPINION ON THE LAW OF GEORGIA "ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE Warsaw, 30 May 2024 Opinion-Nr.: NGO-GEO/506/2024 paragraph 48 page 20

[103] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW, URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARANCY OF FOREIGN INFLUENCE, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)020-e

და პრინციპულად შესწევს უნარი წარმოშვას საფრთხე.[104] შესაბამისად, ამგვარი რეალური საფრთხის დემონსტრირების გარეშე, მხოლოდ უცხოური დაფინანსების მიღების ფაქტზე დაყრდნობით, სადავო კანონით დაწესებული შეზღუდვები არ ემსახურება რაიმე ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ამართლებს ადამიანის უფლების, მოცემულ შემთხვევაში გაერთიანების თავისუფლების, შეზღუდვას. „კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი ისაა, რომ უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმ მიზნის გახორციელებისთვის, რომელსაც აქვს უნარი, გაამართლოს თავად ამ უფლების შეზღუდვა. ხოლო მიზნები, რომლებიც უნარიანია, გაამართლოს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა, მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რაზეც სახელმწიფო და საზოგადოება არის დაფუძნებული.“[105]

ვარაუდი, რომ უცხოელები, ქართული მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, ერევიან ქვეყნის შიდა საქმეებში, ამიტომ საჭიროა ამ სამოქალაქო ორგანიზაციების გამჭვირვალობა, არ წარმოადგენს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს იმ პირობებში, როდესაც დაფინანსების მიუხედავად, არასამთავრობო ორგანიზაციები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას უცხოური დონორისაგან. ამ თვალსაზრისით, სადავო კანონი განსხვავდება ამერიკული FARA-სგან, რომლის მიხედვითაც, უცხოელებისაგან ქვეყნის შიგნით მოქმედი სუბიექტის დაფინანსება, ცალკე აღებული, არ წარმოშობს ამგვარი დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულებას. დამატებით, აუცილებელია იუსტიციის დეპარტამენტში რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირი მოქმედებდეს უცხოელის დავალებით, მითითებით და სახელმწიფოს შეეძლოს რეგისტრაციას დაქვემდებარებულ პირსა და უცხოელს შორის გარკვეული სუბორდინაციული ურთიერთობის დამტკიცება.[106] ამის საპირისპიროდ, სადავო კანონი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, დაამტკიცოს, რომ 20%-ზე მეტი დაფინანსების მოპოვებასთან ერთად, მოქმედებს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია უცხოელი დონორის მითითებითა და კონტროლით. კანონმდებელი 20%-ზე მეტი დაფინანსების არსებობით მხოლოდ ვარაუდობს ამგვარი კონტროლის არსებობას. უნგრეთის საქმეზე მიღებული ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ნათელი ხდება, რომ ამგვარი ვარაუდი საკმარისი არ არის სადავო კანონის საფუძველზე შემოღებული ვალდებულების გასამართლებლად. აუცილებელია უტყუარი მტკიცებულებით იმ გარემოების დამტკიცება, რომ დაფინანსებასთან ერთად, უცხოელი დონორი ახორციელებს მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციის კონტროლს და ქართული ორგანიზაციები უცხოელის მითითებით მოქმედებენ. ამგვარ ვალდებულებას სადავო კანონი იუსტიციის სამინისტროს არ აკისრებს. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სადავო კანონი არ არის მიმართული ისეთი სერიოზული საფრთხის აღმოსაფხვრელად, რომლის რეალური არსებობაც გაერთიანების თავისუფლების შესაზღუდად საკმარისი ლეგიტიმური მიზანი შეიძლება იყოს.

---

[104] European Commission v Hungary C-78/18 §83

[105] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ “, II-17

[106] VENICE COMMISSION URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE Issued on 21 May 2024 pursuant to Article 14a of the Venice Commission’s Revised Rules of Procedure Endorsed by the Venice Commission at its 139th Plenary Session (Venice, 21-22 June 2024 paragraph 40 page 11 https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)020-e

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მედიის ფინანსების გამჭვირვალობა თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს. ამგვარი დაფინანსების გამჭვირვალობა შეიძლება იყოს ხელშემწყობი ისეთი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად როგორიცაა სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, არეულობის და დანაშაულის თავიდან აცილება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფომ ვერ დაასაბუთა, რომ რომელიმე ამ სიკეთეს რაიმე რეალური საფრთხე ემუქრება და არაკომერციული, ასევე მედია ორგანიზაციების უცხოური დაფინანსება უზრუნველყოფს ზემოთ ხსენებული საფრთხეების თავიდან აცილებას. ამის გამო, საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების გამჭვირვალობა, ისე რომ ეს უკანასკნელი კავშირში არ იყოს ზემოთ მითითებულ რომელიმე საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებასთან, თავისთავად, ისეთი ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება, რომელსაც შეუძლია გაამართლოს რომელიმე კონსტიტუციური უფლებაზე, მათ შორის გაერთიანების თავისუფლებაზე, შეზღუდვის დაწესება.[107] რეალური საფრთხეების დემონსტრირების გარეშე, მით უმეტეს დაუშვებელია ასოცირების ხელშეკრულებით აღებული საერთაშორისო ვალდებულებიდან გადახვევა, რაც საბოლოოდ იწვევს კონსტიტუციის 78-ე მუხლის დარღვევას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, სუვერენიტეტის დაცვის ლეგიტიმური მიზანი. ამის შესახებ საუბარი არ არის კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ამის მიუხედავად, ამ მიზანზე აქტიურად საუბრობენ ამ კანონის მიმღები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები.[108] ასოცირების შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულია: „პოლიტიკური დიალოგის მიზანია ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრების ხელშეუხებლობის, სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის პრინციპების განმტკიცება, გაერთიანებული ერების ქარტიის, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტის საფუძველზე.“[109] ამგვარად, ასოცირების შეთანხმება პირდაპირ უთითებს ჰელსინკის დასკვნითი აქტის საფუძველზე სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობაზე. ჰელსინკის დასკვნითი აქტის პირველი მუხლი საუბრობს ქვეყნების სუვერენულ თანასწორობაზე და სუვერენული უფლების პატივისცემაზე. ამ მუხლის მიხედვით: „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობას და ინდივიდუალობას, ისევე როგორც სუვერენიტეტიდან მომდინარე და მისით მოცულ უფლებას. ეს უფლება გულისხმობს ყველა სახელმწიფოს შესაძლებლობას, იყოს სამართლებრივად თანასწორი, დაცული იყოს მისი ტერიტორიული მთლიანობა, მისი თავისუფლება და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. სახელმწიფოები პატივს სცემენ თითოეული მათგანის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს პოლიტიკური, სოციალური ეკონომიკური და კულტურული სისტემები, ისევე როგორც სახელმწიფოს უფლებას, **დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი კანონის და სხვა რეგულაციის შინაარსი.**

---

[107] იგივე

[108] https://1tv.ge/news/qartuli-ocnebis-politsabcho-uckhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-kanoni-chventvis-aris-ara-vachrobis-sagani-aramed-saqartvelos-suverenitetis-dacvis-sashua/

[109] [109] ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part; page 10 https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L:2014:261:FULL&from=EN

საერთაშორისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში, ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობები. სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას, განსაზღვრონ თავიანთი სურვილები და იმოქმედონ მისი მიხედვით სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ამ დეკლარაციის სულისკვეთების შესაბამისად. სახელმწიფოები თვლიან, რომ მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი საშუალებით და შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფოს აქვს უფლება, გაწევრიანდნენ ან არ გაწევრიანდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებში, **იყვნენ ან არ იყვნენ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილეები.** ეს უფლება გულისხმობს ხელშეკრულების საფუძველზე ალიანსში გაწევრიანების ან მასზე უარის თქმის შესაძლებლობას. სახელმწიფოებს აქვს ნეიტრალიტეტის უფლება."[110]

ამგვარად, სუვერენიტეტის უფლება მოიცავს სახელმწიფოს შესაძლებლობას, სხვა ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარევის გარეშე განსაზღვროს თავისი კანონის თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შინაარსი. მოსარჩელე არ უარყოფს, რომ კანონის მიღება ქვეყნის სუვერენული უფლებაა. უბრალოდ, ამასთან ერთად, სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას წარმოადგენს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულების (მაგალითად, ასოცირების შეთანხმება) დადება. ასოცირების შეთანხმების გაფორმების ფაქტი თავად წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელებას. ამ ხელშეკრულების დადება საქართველოს თავისუფალი ნების გამოხატულების შედეგი იყო. ამ ხელშეკრულებით ნებაყოფლობით აღებული ვალდებულება - მაგალითად, ევროკავშირის მიერ ქართული სამოქალაქო საზოგადოების მეშვეობით ევროპული ღირებულებების გავრცელებისათვის ხელშეწყობა ან აუდიოვიზუალური მედიისათვის ტრენინგის ჩატარება - ვერ იქნება საქართველოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგო, პირიქით ეს ვალდებულებები საქართველოს სუვერენული ნების საფუძველზე გაჩნდა. რაც 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით კონსტიტუციის 78-ე მუხლშიც ჩაიწერა.

საქართველოს სუვერენიტეტის პრიმატის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ." ცხადია, ასოცირების შეთანხმება პასუხობს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მოთხოვნებს, შესაბამისად, სადავო კანონი უნდა შეესაბამებოდეს ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებს. ზემოთ დავინახეთ, რომ ეს ასე არ არის და სადავო კანონი, მთლიანობაში ეწინააღმდეგება კიდეც მას. აქედან გამომდინარე, სადავო კანონი არათუ სახელმწიფოს სუვერენული ნების გამოვლინებაა, არამედ პირიქით, წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს უფრო ღირებულ სუვერენულ სურვილთან - იყოს ასოცირების ხელშეკრულების მონაწილე და გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი სახელმწიფო.

---

[110]CONFERENCE ON SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE FINAL ACT HELSINKI 1975 page 4
https://www.osce.org/files/f/documents/5/c/39501.pdf

ის რომ საკუთარი სურვილით აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტის თვითშეზღუდვას - არ მიიღოს ისეთი კანონი, რაც წინააღმდეგობაში მოვა სახელწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან - ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული ჰელსინკის დასკვნითი აქტის X მუხლის მე-2 აბზაცში: „თავისი სუვერენული უფლებების, მათ შორის საკუთარი კანონების და სხვა რეგულაციის შინაარსის განსაზღვრისას, სახელმწიფოები მოქმედებენ საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ვალდებულებებით.“[111] იმ პირობებში, როდესაც არსებობდა ასოცირების ხელშეკრულება, სუვერენიტეტის პრინციპი, იმ შინაარსით, როგორც ის განმტკიცებულია ეუთოს ჰელსინკის დასკვნით აქტში, არ აძლევდა სახელმწიფოს სადავო კანონის მიღების უფლებამოსილებას, რომელიც ეწინააღმდეგება ასოცირების შეთანხმებით საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას და ამის მეშვეობით, 22-ე მუხლის პირველ პუნქტს და 78-ე მუხლებს.

ამგვარად, გასაჩივრებული კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 78-ე მუხლს, ხოლო სადავო ნორმები კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტს.

---

[111] CONFERENCE ON SECURITY AND CO-OPERATION IN EUROPE FINAL ACT HELSINKI 1975 page 11

III
შუამდგომლობები *შენიშვნა* [112]

1. შუამდგომლობა მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე

---

2. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე

მოსარჩელე ითხოვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს „უცხოური გავლენის გამჭირვალეობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

სადავო ნორმების შეჩერების შესაძლებლობას იძლევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც: „ თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება”. ვინაიდან წინამდებარე სარჩელი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტის წევრთა 1/5-ს მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სახელმწიფო ორგანოების კონსტიტუციურ დავებზე კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული “გამოუსწორებელი შედეგების” მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული თავისებურებების შესახებ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის №3/6/668 საოქმო ჩანაწერი[113]. მსგავსად წინამდებარე საქმისა, ზემოთ აღნიშნულ საქმეშიც მოსარჩელეები იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრთა 1/5, საკონსტიტუციო სასამართლომ კი მიუთითა, რომ: “„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულია ზოგადი ნორმა, რომლის მიზანს წარმოადგენს გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება, განურჩევლად იმისა, თუ რა სახის დავასთან გვაქვს საქმე და ვინ არიან მოდავე სუბიექტები. აღნიშნული ნორმა რელევანტურია მაშინაც, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე დავას უკავშირდება. ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, ვინ შეიძლება ჩაითვალოს მხარედ ამ ნორმის მიზნებისათვის. ამ დროს გასათვალისწინებელია კომპეტენციის თვისებრიობა, რომლის ფარგლებშიც მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს, ამასთან, თავად მხარის სამართლებრივი მდგომარეობა/სტატუსი. მაგალითად, როდესაც სახალხო დამცველი მიმართავს

---

[112] საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოსარჩელეს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილ ველში შეგიძლიათ დააყენოთ შესაბამისი შუამდგომლობები. შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითეთ მისი საფუძვლიანობის დამადასტურებელი არგუმენტები, ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

[113] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის 3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლზე დაყრდნობით, ის არის მხარე, თუმცა დაობს არა საკუთარი უფლებების, არამედ პირთა განუსაზღვრელი წრის უფლებების დასაცავად, რამდენადაც სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მის კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, სადავო ნორმის შეჩერების მოთხოვნისას მან უნდა ამტკიცოს სწორედ სხვა პირებისთვის და არა სახალხო დამცველისთვის, გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე”[114] დამატებით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი განმარტებაც: “ცხადია, რომ ფიზიკური პირისთვის სადავო ნორმის მოქმედებით გამოწვეული სავარაუდო გამოუსწორებელი შედეგი ყოველთვის დაკავშირებულია მისი უფლების შეუქცევადად დარღვევის რისკებთან. მაგრამ, როდესაც სასამართლოს მიმართავენ სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები (პრეზიდენტი, სახალხო დამცველი), მათთვის, როგორც მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგების დაყენება, ერთი მხრივ, თავისთავად ვერ იქნება მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული, რადგან, პირებს, რომლებიც სახელმწიფოს წარმოადგენენ საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში, არ აქვთ პირადი უფლებები. ფუნდამენტური უფლებები სწორედ სახელმწიფოსგან პირის თავდაცვითი უფლებებია. სახელმწიფო ორგანოსთვის/თანამდებობის პირისთვის, როგორც მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი უკავშირდება სწორედ იმ მიზნისთვის საფრთხის შექმნას, რომლის დაცვის მოტივითაც არის გათვალისწინებული მისი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა. შესაბამისად, საფუძველშივე არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგი იმთავითვე და უპირობოდ გულისხმობს უშუალოდ მოდავე სუბიექტისთვის, მისი პირადი ინტერესებისთვის ასეთი ნეგატიური შედეგის დადგომას”[115]. საბოლოოდ, სასამართლოს მითითებით: “გამოუსწორებელი შედეგი სწორედ გულისხმობს სადავო ნორმის მოქმედების გამო ამ საჯარო ფუნქციის განხორციელებით მისაღწევი მიზნებისთვის საფრთხის შექმნას, შედეგად ყველა იმ სუბიექტისთვის, პირისთვის, აქტორისთვის გამოუსწორებელი ზიანის გამოწვევას, რომლებზეც უშუალოდ ვრცელდება კონკრეტული საჯარო ფუნქციის რეალიზაციის შედეგები”[116].

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დავის მიზნებისთვის, პარლამენტის წევრთა 1/5-ის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იმის ჩვენება, თუ რა გამოუსწორებელ შედეგს დააყენებს სადავო ნორმების შეუჩერებლობა კონსტიტუციის 78-ე მუხლისა და 22-ე მუხლის მიზნებისთვის. თავის მხრივ, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“[117]. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, დამატებით უნდა შეფასდეს რამდენად შეუძლია

[114] იქვე, II-8.
[115] იქვე, II-10.
[116] იქვე, II-11.
[117] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2

გასაჩივრებულ ნორმების შეჩერებას გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება და ნორმების შეჩერება ხომ არ გამოიწვევს მესამე პირების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას.

1. **ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს საქართველოს ევროკავშირში ასოცირების პროცესს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების ფუნქციონირებას**

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პირებს უჩნდებათ ვალდებულება განცხადებით მიმართონ სააგენტოს და დარეგისტრირდნენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებს უდგენს ვალდებულებას ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ხოლო, კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პირი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ წინაპირობებს 2023 წლის მონაცემებითაც აკმაყოფილებს, როგორც რეგისტრაციის, ასევე საფინანსო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება უჩნდება კანონის ძალაში შესვლიდან მე-60 დღეს. კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებას აწარმოოს მონიტორინგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარი ორგანიზაციების გამოსავლენად, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ასეთი პირის აღმოჩენის შემთხვევში, აღნიშნული პირის ნების მიუხედავად არეგისტრირებს მას რეესტრში. კანონის მე-9 მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტები სამართალდარღვევად აცხადებს რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმას, საფინანსო დეკლარაციისა და სხვა ნებისმიერი ინფორმაციის სამინისტროსთვის წარუდგენლობას. ხოლო კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი კანონის მე-9 და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრავს კანონის ძალაში შესვლიდან მე-60 დღეს.

გასაჩივრებული კანონის ძალაში შესვლით შეუძლებელი გახდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მაუწყებლებისა და ონლაინ მედიების მიერ საქმიანობის თავისუფალ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა, ასევე გამოუსწორებლად დაზიანდება საქართველოს ევროკავშირში ასოცირების პროცესი.

კერძოდ, აღნიშნული ნორმების მოქმედება გარდაუვლად შელახავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მაუწყებლებისა თუ ონლაინ მედიების, მათი თანამშრომლების, წევრებისა და დამფუძნებლების საქმიან რეპუტაციას. ორგანიზაციებზე მსგავსი სტიგმის მიწებებით, დაზიანდება მათდამი საზოგადოებაში არსებული ნდობა, რაც გაართულებს საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობას. გასაჩივრებული ნორმების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და მედიებს შესაძლოა დაევალოთ ისეთი სენსიტიური ინფორმაციის გადაცემა, როგორიცაა მაგალითად ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია, ადვოკატისა და კლიენტს შორის არსებული პრივილეგირებული ინფორმაცია ან კომერციული საბანკო საიდუმლოება, მედიების შემთხვევაში კი ფარული წყაროს გამჟღავნების ვალდებულება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის საქმიანობა დაკავშირებულია მოქალაქეების უფასო

იურიდიული დახმარების გაწევასთან, შესაბამისად მათ ორგანიზაციებში მათ შორის ინახება ადვოკატსა და მის ბენეფიციარს შორის არსებული საადვოკატო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროფესიული ინფორმაცია. თუ ორგანიზაციებს დაევალებათ მათ საადვოკატო საქმეებზე ინფორმაციის სამინისტროსთვის გადაცემა, ხოლო მედიების შემთხვევაში ფარული წყაროს გამჟღავნების ვალდებულება, რომელიც გასაჩივრებული კანონის მე-5 მუხლის მიხედვით საჯაროდ გამოქვეყნებას ექვემდებარება, აღნიშნული დააზიანებს არასამთავრობო ორგანიზაციების/მედიების და მათი თანამშრომლების იმიჯს და აღარავის ექნება სურვილი მიმართოს მათ, როდესაც ცნობილი იქნება, რომ აღნიშნული ორგანიზაციები და მათი ადვოკატები ვერ შეძლებენ პროფესიული საიდუმლოების დაცვას. ამგვარი ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაცემის ვალდებულება მიზნად ისახავს არა გამჭირვალეობის უზრუნველყოფას, არამედ იძლევა აღნიშნული ინფორმაციის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც დააზიანებს ორგანიზაციების საქმიან რეპუტაციას, ბენეფიციარების თვალში შელახავს ნდობას, რაც ორგანიზაციების უფასო სერვისებს გახდის არასანდოს და მიუღებელს ფართო საზოგადოებისთვის. იგივეს მიუთითებს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სამართლებრივი შეფასებაც, რომლის მიხედვითაც „უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირების ვალდებულება მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, იქნება ეს ქართული თუ უცხოური წყაროებიდან, განხილული უნდა იქნეს როგორც მონიტორინგის განუსაზღვრალად ფართო უფლებამოსილებად, რაც ფუნდამენტურად წინააღმდეგობაში გაერთიანებების თავისუფლებასთან ემსახურონ მათ კანონიერ მიზნებსა და აქტივობებს. გარდა ამისა, ის ასევე არ შეესაბამება პრეზუმფციას ასოციაციების საქმიანობის კანონიერების სასარგებლოდ, როგორც ეს ხაზგასმულია ვენეციის კომისიის გაერთიანების თავისუფლების შესახებ სახელმძღვანელო მითითებების პირველივე პარაგრაფში“[118].

დამატებით, იმისთვის, რომ ორგანიზაციებმა ზემოთ მითითებული ვალდებულებები შეასრულონ საჭიროა დროითი, ადამიანური და ფულადი რესურსების მობილიზება. საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიები არიან განსხვავებული ზომისა და რესურსების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, მათთვის ამგვარი ვალდებულების დაკისრება შეზღუდული დროისა და რესურსების პირობებში გარდაუვლად გამოიწვევს მათი ძირითადი საქმიანობის შეფერხებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ზომის ორგანიზაციები, რომელთაც შესაძლოა კანონით განსაზღვრულ 10 დღიან პერიოდში ვერ უზრუნველყონ სათანადო დროითი თუ ადამიანური რესურსების მობილიზება, რაც მათ გარდაუვლად დაჯარიმებას გამიწვევს. ამასთან, კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ორგანიზაციებზე დაწესებული სანქციების კუმულატიური ეფექტი, გააკოტრებს და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენებს ორგანიზაციებს, რის გამოც ისინი ვეღარ შეძლებენ საკუთარი საქმიანობის განხორციელებას.

ერთადერთი გზა, რომლის პირობებშიც არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედია ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიდან აირიდონ აღნიშნული სტიგმის მიწებება 20%-ზე ნაკლები უცხოური დაფინანსების მიღებაა. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ გასაჩივრებული კანონი რეალურად არ ტოვებს აღნიშნულ შესაძლებლობას, ვინაიდან უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვალდებულება ორგანიზაციებს წარმოეშვებათ 2023 წლის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დაფინანსების საფუძველზეც. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედია ორგანიზაციებს არ შეუძლიათ გამოუსწორებელი ზიანის თავიდან არიდება.

[118] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), URGENT OPINION ON THE LAW OF GEORGIA "ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE", ხელმისაწვდომია: https://www.osce.org/odihr/569922

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული კანონის ამოქმედებით გარდაუვლად მოხდება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების გაქრობა დემოკრატიული პროცესებიდან. ხელისუფლების მიერ მიღებული კანონით, რომელის ამოქმედების შედეგად ქართული პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული პროცესებიდან გაქრებიან არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიები, ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლიც. როგორც აღინიშნა, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მე-9 ნაბიჯი მოითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციების თავისუფალი ოპერირების უზრუნველყოფას და თავისუფალი მედია გარემოს გარანტირებას. ამასთან, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პლურალისტური სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის არსებობა. როგორც უკვე მივუთითეთ, ევროპული საბჭოს დასკვნისა და საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადებით, საქართველოს ევროკავშირში ასოცირების პროცესი შეჩერებულია, ამის საფუძველი კი ხელისუფლების მიერ გასაჩივრებული კანონის მიღებაა. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირთან ასოცირების პროცესი კანონის მიღებით ნაწილობრივ უკვე დაზიანდა - ევროკავშირთან ასოცირების პროცესი ამ ეტაპისთვის შეჩერებულია. ამასთან, ვინაიდან ევროკავშირთან ასოცირება ხანგრძლივი პროცესია, ზიანი, რომელიც ამ კანონის ამოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებით, იქნება ხარისხობრივად უფრო მძიმე და გამოუსწორებელი, ვინაიდან ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი მედია გარემოს არსებობა, რომელთა თავისუფლად ფუნქციონირების შესაძლებლობა კრიტიკული საფრთხის წინაშე დგება გასაჩივრებული კანონის ამოქმედების შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, გასაჩივრებული კანონის ძალაში შესვლა შეუძლებელს გახდის კონსტიტუციის 78-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და საქართველოს ევროკავშირში სრულად გაწევრიანების უზრუნველყოფას.

2. **გასაჩივრებული ნორმების შეჩერებას შეუძლია გამოუსწორებელი ზიანის თავიდან არიდება, რაც არ გამოიწვევს მესამე პირთა უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას.**

კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის აუცილებელია შეფასდეს რამდენად შეუძლია გასაჩივრებული კანონის შეჩერებას გამოუსწორებელი ზიანის თავიდან არიდება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, კანონის შეჩერებით გაუმართლებლად ხომ არ დაზიანდება მესამე პირთა უფლებები.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროკავშირში სრული ინტეგრაცია ხანგრძლივი პროცესია, რაც გულისხმობს ქართული სამართლებრივი სივრცის ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულად ჰარმონიზაციას. სწორედ ამას ემსახურება ასოცირების ხელშეკრულება, რომლის მიზანიც საქართველოს საკანონმდებლო სივრცისა და ინსტიტუციური არქიტექტურის ევროკავშირის სამართლის სისტემასთან მისადაგებაა. როგორც უკვე აღინიშნა, გასაჩივრებული კანონის მიღებით შეჩერდა ევროკავშირთან ასოცირების პროცესი, რაც მათ შორის გამოიხატა ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ევროპული სამშვიდობო ფონდიდან (EPF) – 30 მილიონი ევროს ოდენობით მხარდაჭერის პაკეტის შეჩერებაში. ზემოთ განხილული ევროკავშირის ინსტიტუციების მიერ გაკეთებული დასკვნები მიუთითებენ, რომ ასოცირების პროცესის შეჩერება გამოიწვია გასაჩივრებული კანონის მიღებამ და აღნიშული პროცესის პარალელურად საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, პოლიტიკური ლიდერების, სამოქალაქო აქტივისტების და ჟურნალისტების მიმართ მზარდი დაშინების, მუქარისა და ფიზიკური თავდასხმის აქტებმა. მისი ამოქმედების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების დემოკრატიული პროცესებიდან გაქრობა

შეუძლებელს გახდის ევროკავშირში გაწევრიანებას, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრები ვალდებულებების შესრულებას, ვინაიდან ევროკავშირის პრეცედენტული სამართლით მსგავსი კანონების არსებობა ეწინააღმდეგება ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებებს და უფლებათა ქარტიას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული კანონის შეჩერებით თავიდან იქნება არიდებული ის გამოუსწორებელი შედეგი, რომელზეც სარჩელის ზედა ნაწილებშია მითითებული და შესაძლებელი გახდება ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება, 9 ნაბიჯითა და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა კანონის მიღება არ ემსახურება რაიმე ღირებული საჯარო მიზნის უზრუნველყოფას, შესაბამისად, მისი შეჩერებით არ დაზიანდება არც ერთი პირის, ჯგუფის ინტერესი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა გასაჩივრებული კანონის შეჩერების ყველა წინაპირობა, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლომ კანონის მოქმედება უნდა შეაჩეროს მისი ძალაში შესვლამდე.

---

3. სხვა შუამდგომლობები

IV
თანდართული დოკუმენტები

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანართები

სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი	☒
ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	☒
წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი	☒
კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია	☒

2. სხვა დანართები *შენიშვნა* [119]

1.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27^3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ხელმოწერის ავტორი/ავტორები შენიშვნა120	თარიღი	ხელმოწერა
1. გიორგი გოდაბრელიძე 2. კობა ნაყოფია 3. გუბაზ სანიკიძე 4. კახაბერ ოქრიაშვილი	1.	1.

[119] გთხოვთ მიუთითოთ დანართის ნომერი, თანდართული დოკუმენტის დასახელება და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (არსებობის შემთხვევაში).

[120] კანონმდებლობით შეიძლება მოთხოვნილი იყოს მოსარჩელეთა ხელმოწერის დამოწმება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

5. ეკატერინე ხერხეულიძე 6. როსტომ ჩხეიძე 7. ნატო ჩხეიძე 8. დევი ჭანკოტაძე 9. ხათუნა სამნიძე 10. თეონა აქუბარდია 11. ლევან ბეჟაშვილი 12. გიორგი ბოტკოველი 13. დავით ხაჯიშვილი 14. რამაზ ნიკოლაიშვილი 15. აკაკი მინაშვილი 16. აბდულა ისმაილოვი 17. ტარიელ ნაკაიძე 18. ნიკა მაჭუტაძე 19. დავით უსუფაშვილი 20. თამარ ჩარკვიანი 21. დავით ბაქრაძე 22. სალომე სამადაშვილი 23. ანა ბუჩუკური 24. მიხეილ დაუშვილი 25. შალვა კერესელიძე 26. ბექა ლილუაშვილი		

27. ალექსანდრე მოწერელია 28. რომან გოცირიძე 29. ალექსანდრე ელისაშვილი 30. ქეთევან თურაზაშვილი 31. ანა ნაცვლიშვილი 32. თამარ კორძაია 33. გიორგი ვაშაძე 34. პაატა მანჯგალაძე 35. თინათინ ბოკუჩავა 36. არმაზ ახვლედიანი 37. შალვა შავგულიძე 38. ბაჩუკი ქარდავა		